# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 13 მარტი 2008 №056 (3280) ფასი 50 თეთრი

# 21+1 ქართველი ოლსტერში

## იმ ერთთან ჯერაც სალაპარაკოა



ზურაბ ხიზანიშვილი და ალექსანდრე იაშვილი

## ნაკრებში მატჩამდე კრება ჩატარდება

ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგური მატჩისთვის, რომელიც ბელფასტში 26 მარტს გველის, კლაუს ტოპმიოლერმა სანაკრებო სია ჩამოწერა და ამ სიაში ზურაბ ხიზანიშვილიც მოხვდა და ალექსანდრე იაშვილიც — ის ფეხბურთელები, რომელთა წინა მატჩებში გამოუძახებლობამ გვარიანი ხმაური გამოიწვია.

თუმცა, გამოძახება გამოძახებად და, ზურაბ ხიზანიშვილისთვის ჯერაც ბევრი რამ არის გასარკვევი. ინგლისური „ბლექბერნის“ მცველი კვლავაც ელის განმარტებას ბოლოდროინდელი ამბების გამო.

ადამიანურად უნდა დავსხდეთ და გავარკვიოთო, გვითხრა გუშინ ხიზანიშვილმა, ნაკრებში გამოძახების თაობაზე კომენტარისთვის რომ დავურეკეთ. ის კი აქამდეც ვიცოდით, „დასხდომა და გარკვევა“ ფეხბურთის ფედერაციისა და ნაკრების მწვრთნელთა შტაბის სურვილიც რომ არის.

*მეკარეები:* გიორგი მაკარიძე, როინ კვასხვაძე, რევაზ თევდორაძე;
*მცველები:* კახა კალაძე, ლაშა სალუქვაძე, მალხაზ ასათიანი, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ზაალ ელიავა, ალექსანდრე კვახაძე;
*ნახევარმცველები:* ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, დავით კვირკველია, ჯაბა კანკავა, ლევან ყენია, დავით მუჯირი, გოგიტა გოგუა, გიორგი ხიდეშელი;
*თავდამსხმელები:* გიორგი დემეტრაძე, ალექსანდრე იაშვილი, ლაშა ჯაკობია, დავით სირაძე.

# თასი ნაცადი გზით

## ძველი ფინალისტები ახალ ნახევარფინალში




სავარაუდოდ, სამშაბათს: ბოლო ჭილისყრა ფინალამდე

ამერი. ზესტაფონი. ბორჯომი. დინამო



# რობერტო მანჩინიმ თქვა და გადათქვა: დავრჩები!

დღევანდელი „სარბიელის“ მეშვიდე გვერდზე წაიკითხავთ, როგორ გადაწყვიტა იტალიური „ინტერის“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ გუნდიდან წასვლა, თუმცა გუშინ, გვიან ღამით გაირკვა, რომ სიტუაცია არც ისე საგანგაშოა — ამის თაობაზე „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ სააგენტო „როიტერს“ განუცხადა.

„მანჩინისთან ხანგრძლივი მოლაპარაკება ახლახან დავასრულე. ის დამთანხმდა დარჩენაზე და დიდი მონდომებით ელის მომდევნო მატჩებს“ — განმარტა მორატიმ, ვისაც მწვრთნელმა წასვლის თაობაზე ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ მიმართა.

და სანამ იტალიაში ახალ მწვრთნელზე მკითხაობა დაიწყო, მანჩინი გუნდში დარჩა...

# არავინ ახალი ბევრი სიახლით

## ტოპმიოლერმა ბელფასტი გამოჰფინა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები 26 მარტს ბელფასტში ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების წინაალმდეგ.

კლაუს ტოპმიოლერმა ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც ბრიტანელებთან თამაშისთვის მოემზადებიან...

***მეკარეები:*** *გიორგი მაკარიძე (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), რევაზ თევდორაძე (მერანი);*

***მცველები:*** *კახა კალაძე (მილანი, იტალია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგილსი), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია);*

***ნახევარმცველები:*** *ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლევან ცქიტიშვილი (ლოკომოტივი), დავით კვირკველია (რუბინი, რუსეთი), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), ლევან ყენია (შალკე, გერმანია), დავით მუჯირი (ლოკომოტივი, რუსეთი), გოგიტა გოგუა (ნალჩიკი, რუსეთი), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი);*

***თავდამსხმელები:*** *გიორგი დემეტრაძე (არსენალი, უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), ლაშა ჯაკობია (ვორსკლა, უკრაინა), დავით სირაძე (ნალჩიკი, რუსეთი).*

მიუხედავად იმისა, რომ დებიუტანტი არავინაა, 22-კაციან სიაში საინტერესო ცვლილებებია: როგორც მოსალოდნელი იყო, ტოპიმ ზურაბ ხიზანიშვილსა და ალექსანდრე იაშვილს უხმო. სხვანაირად არც შეიძლებოდა, მათი კლასის ლეგიონერები ბევრი რომ გვყავდეს...

არც ყატართან და ლიტვასთან და არც ლატვიასთან ამხანაგურში, ნაკრებში არ ყოფილა გიორგი დემეტრაძე — გიორგი ხელახალი დებიუტანტია.

ლიტვასთან არც ლაშა ჯაკობია იყო გამოძახებული. ამჯერად კი ჰერ კლაუსმა ისევ დააბრუნა ნაკრებში.

ლიტვური სიიდან ჩრდილოეთ ირლანდიაში ვერ წავლენ მეკარე ნუკრი რევიშვილი, ბექა გოცირიძე და ნახევარმცველები — შოთა გრიგალაშვილი და სანდრო კობახიძე. ტრავმის გამო ბელფასტში ვერ ჩავა ლევან მჭედლიძე. ვინძლო, ტოპმიოლერი მათე ლვინიანიძისა და ამირან სანაიას გამოძახებასაც აპირებდა, თუმც ისინიც დაშავებულნი არიან.

ერთიც: საკმაოხნიანი შესვენების შემდეგ ნაკრებს ერთ-ერთი ლიდერი ლევან კობიაშვილი უბრუნდება...

**ილია ნანოგაშვილი**



**ზურაბ ხიზანიშვილი** ისევ ნაკრებშია — გუშინ ჩრდილოეთ ირლანდიასთან სათამაშო სია გამოაცხადდა, მაგრამ ჯერაც საეჭვოა, გავა თუ არა „ოლსტერელებთან“ მინდორზე ჩვენი ნაკრების 13 ნომერი. როგორც იცით, ბელფასტის თამაშის წინა დღეებში საქართველოს ფეხბურთის ფედარაციის ხელმძღვანელების, მწვრთნელებისა და ფეხბურთელების კრება უნდა გაიმართოს და ღმერთმა ქნას, ყველა ის პრობლემა მოგვარდეს, რაც ნაკრებში ატმოსფეროს გააუმჯობესებს. ხიზანიშვილს ბლექბერნულ და პრემიერლიგურ ამბებზეც ვკითხეთ, თუმცა ნაკრები ზე-თემაა და აქედან დავიწყოთ...

# ზურაბ ხიზანიშვილი: მთავარია, კლაუს ტოპმიოლერმა ამიხსნას ნაკრებში სიამოვნებით ვითამაშებ

— ბელფასტში აუცილებლად ჩავალ, მაგრამ ვითამაშებ თუ არა, ჯერ ვერ გეტყვით, მანამდე კიდევ ორი კვირაა.

— ამ ორ კვირაში რა უნდა გაირკვეს?

— საერთოდ, რატომ მოხდა ასეთი რამ.

— რამდენადაც ვიცით, ბელფასტში იგეგმება კრება. იქნებ კონკრეტულად გვითხრა, რაზე უნდა ილაპარაკოთ?

— ალბათ, ჩვენი ურთიერთობის მოგვარებაზე. არ ვიცი, შესაძლოა, სხვა რამეზეც, მაგრამ მე მგონი, მთავარი თემა ეს უნდა იყოს. არც მე ვიყავი ბოლოს ნაკრებში, არც ალექსანდრე იაშვილი... ადამიანურად უნდა დავსხდეთ და გავარკვიოთ გასარკვევი. მგონი, არავის უნდა სიამოვნებდეს ის მდგომარეობა, რაც დღესაა ნაკრებში.

— კონკრეტულად კლაუს ტოპმიოლერისგან მოითხოვ ახსნას? მან თქვა, რომ ხიზანიშვილი უდისციპლინოდ მოიქცაო...

— დიახ, ტოპმიოლერია ნაკრების მთავარი მწვრთნელი და მისი პრეროგატივაა ნაკრებში ფეხბურთელების გამოძახება. კონკრეტულად მისგან მაინტერესებს, რატომ და რისთვის. და თუ ყველაფერი მოგვარდება, ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ ნაკრებში სიამოვნებით ვითამაშებ.

— ინგლისიდან ჩრდილოეთ ირლანდია შორს არ არის და უკეთ გეცოდინება, რა დონის გუნდია, როგორ ემზადებიან საქართველოსთან შესახვედრად...

— დიდი აჟიოტაჟია-მეთქი, რომ ვთქვა, ტყუილი გამომივა. „ბლექბერნის“ მეორე გუნდშია ერთი ახალგაზრდა ჩრდილოირლანდიელი ბიჭი, შესაძლოა, ისიც გამოიძახონ.

— „ბლექბერნში“ უკვე სტაბილურად თამაშობ. ეს სხვა მცველების ტრავმების გამო ხომ არ ხდება?

— იმედია, არა. მწვრთნელ მარკ ჰიუზს სჯერა ჩემი. კონკურენცია კი არის გუნდში, მაგრამ ჩემზეა დამოკიდებული — თუ ფორმას შევინარჩუნებ, არა მგონია, სათადარიგოთა სკამზე დამსვან.

— „ფულემთან“ მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგეთ და უეფას თასზე მოხვედრა გაგიძნელდებათ...

— ჩვენი ძირითადი მეტოქე „ასტონ ვილაა“, რომელიც, სავარაუდოდ, გამოტოვებულ თამაშს მოიგებს „მიდლსბროსთან“ და მეექვსე ადგილზე მყარად დაჯდება, მაგრამ ბევრი ტურია დარჩენილი და მეექვსეზე გასვლის შანსი ნაღდად გვაქვს. მიზანიც სწორედ ესაა. ისე, „ფულემთან“ არ გაგვიმართლა, ბოლო წუთებზე გაგვითანაბრეს.

— ერთიც, შარშან ბევრი საუბარი იყო, მარკ ჰიუზი ალექს ფერგიუსონის წასვლის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედში“ დაინიშნებაო. წლეულს აღარ არის ეს აქტუალური?

— ჰიუზს უყვარს „ბლექბერნი“. დიდი ხანი არაა, რაც ფეხბურთის თამაში დაასრულა და მაინცდამაინც არ ჩქარობს გრანდის გაწვრთნას. ახლახან „ნიუკასლსაც“ უარი უთხრა, რამდენადაც ვიცი.

**ილია ნანოგაშვილი**

# 76: საქართველოს ოთხიანი ნახტომი

**რით** მოახერხა საქართველოს ნაკრებმა „ფიფა-კოკა-კოლას“ რეიტინგში ოთხი ადგილით ამაღლება, როცა ბოლო ერთ თვეში მატჩი არ ჩაუტარებია?

ფაქტი კი ასეთია — საქართველომ მე-80-დან 76-ე ადგილზე აინაცვლა, 23 სარეიტინგო ქულა შეიმატა და ახლა 407 აქვს.

ჩვენი ნაკრების წინ და უკან კი აფრიკელები არიან, შესაბამისად, ბოლო მუნდიალზე ნათამაშევი ტოგო და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

მომდევნო რეიტინგი 9 აპრილს გამოქვეყნდება და იმედია, საქართველო პროგრესს გააგრძელებს — წინ ხომ ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგური მატჩია.

რეიტინგს კი კვლავაც არგენტინა ყოჩობს, თანაც მდევარ ბრაზილიასთან უფრო გაზარდა უპირატესობა.

**ილია ნანოგაშვილი**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | არგენტინა | 1556 |
| 2 | 2 | ბრაზილია | 1514 |
| 3 | 3 | *იტალია* | 1505 |
| 4 | 4 | ესპანეთი | 1355 |
| 5 | 5 | გერმანია | 1294 |
| 6 | 6 | ჩეხეთი | 1253 |
| 7 | 7 | საფრანგეთი | 1234 |
| 8 | 8 | პორტუგალია | 1206 |
| 9 | 9 | ჰოლანდია | 1179 |
| 10 | 10 | საბერძნეთი | 1160 |
| 19 | 19 | *ბულგარეთი* | 922 |
| 37 | 36 | *ირლანდია* | 640 |
| 63 | 66 | *კვიპროსი* | 502 |
| 76 | 80 | საქართველო | 407 |
| 175 | 175 | *ჩერნოგორია* | 65 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# დონადონი მეორედ აღარ ჩამოვა?

## იტალია ახალ თავს ეძებს

**იტალიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, ხელშეკრულებაში ჩადებული იყო პუნქტი, რომლის თანახმადაც, მწვრთნელის მომავალზე გავლენას 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი იმოქმედებდა. დონადონის კი გუნდში მუშაობის გაგრძელება იმის მიუხედავად სურდა, თუ რა შედეგს აჩვენებდა იტალია შვეიცარია-ავსტრიაში გასამართ ევროჩემპიონატზე.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემ განაცხადა, რომ დონადონისთან კონტრაქტს 26 მარტამდე გააფორმებდა, თუმცა...

შეგახსენებთ: იტალია მუნდიალ 2010-ის შესარჩევში ჩვენი მეტოქეა.

**ჭაჭა შალამბერიძე**

# უეფას თასი 2007-2008

## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. წუხელ

***ზენიტი (რუსეთი)*** **2:0 მარსელი** (საფრანგეთი) (1:3)
1:0, 2:0 პოგრებნიაკი (39, 78)

**ჰამბურგი** (გერმანია) **3:2** ***ლევერკუზენი (გერმანია)*** (0:1)
0:1 ბარბარესი (18), 1:1 ტროხოვსკი (53), 1:2 გეკასი (55), 2:2 გერერო (64), 3:2 ვან დერ ვაარტი (80)

***ბაიერნი (გერმანია)*** **1:2 ანდერლეხტი** (ბელგია) (5:0)
1:0 ლუსიო (9), 1:1 სერპატი (20), 1:2 იაკოვენკო (35)

**ევერტონი** (ინგლისი) **2:0**დ.დ. (პ2:4) ***ფიორენტინა (იტალია)*** (0:2)
1:0 ჯონსონი (16), 2:0 არტეტა (67)

***პსვ (ჰოლანდია)*** **0:1**დ.დ. (პ6:5) **ტოტენჰემი** (ინგლისი) (1:0)
0:1 ბერბატოვი (81)

***ხეტაფე (ესპანეთი)*** **1:0 ბენფიკა** (პორტუგალია) (2:1)
1:0 ალბინი (78)

### ინგლისი

**პრემიერლიგა. XXIX ტური**
**ასტონ ვილა 1:1 მიდლსბრო**
**პორტსმუთი 4:2 ბირმინგემი**
**ჩელსი 6:1 დერბი**

**ჩემპიონატი. XXXVIII ტური**
**კარდიფი 1:0 ჰალი**
**ვესტ ბრომვიჩი 1:1 კრ. პალასი**

**I ლიგა. XXXVII ტური**
**როვერსი 1:1 ნორთჰემპტონი**

**II ლიგა. XXXVII ტური**
**აკრინგტონი 3:2 მორეკემბი**
**ჩესტერი 0:1 ბრედფორდი**

### შოტლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩები**
**სელტიკი 0:0 დანდი იუნ.**
**ჰიბერნიანი 1:0 მოზერუელი**

### ჰოლანდია

**ერედივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
**ალკმაარი 0:1 ფეიენოორდი**

### ფინეთი

**ლიგის თასი**
**VI ტური**
**I ჯგუფი**
**როვანიემი 0:1 ტურკუ**
**II ჯგუფი**
**ლაჰტი 5:0 კტპ**

### ხორვატია

**თასის მეოთხედფინალი**
**საპასუხო მატჩი**
**დინამო 2:1 სლავენი (1:0)**

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

www.pfl.ge

ზესტაფონი. 12 მარტი. 14.30 საათი. ცენტრალური. 3 000 მაყურებელი

### ზესტაფონი 1:0 ოლიმპი (1:0)

1:0 იონანიძე (57პ)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, ე. საჯაია, რ. ონიანი, ვიეირა, გ. ხიდეშელი (ნ. კვასხვაძე 80), ბენაშვილი, კესანი, ბ. გოცირიძე (დაუშვილი 70), ბიტოო (იონანიძე 54)
სათადარიგონი: გ. ჭანტურია, შ. ღონღაძე, ჟონატასი, გელაჭეიშვილი
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ოლიმპი: შეყრილაძე, ორბელაძე, სილაგაძე (ნ. მგელაძე 80), მახვილაძე, კახელიშვილი, გეწაძე, კოვალევსკი (იმედაძე 64), ხუბუა, სტეფანიშვილი (ჯოჯუა 66), დევდარიანი, ომელიანოვი
სათადარიგონი: კალანდაძე, ყრუაშვილი, აფრიამაშვილი, გაბედავა
მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

გაფრთხილება: მახვილაძე (12), ბენაშვილი (15), ვიეირა (34), გეწაძე (40), ხიდეშელი (59)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე, დ. ხარიტონაშვილი

დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი; დირექტორი: ბ. მჭედლიშვილი



გიორგი კახელიშვილმა (№11) ბექა გოცირიძე საპენალტედ წააქცია

# ზესტაფონს გზა იონანიძემ დაუგო

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**ამ** გუნდების პირველი შეხვედრა რუსთავში ბექა გოცირიძის გოლით „ზესტაფონმა" 1:0 მოიგო და „ოლიმპსაც" იმერეთში უეჭველი მოგება სჭირდებოდა.

საწყისი ოცი წუთი ორმაგ იერიშებში გაილია. ჯერ გელა ხუბუამ გაისროლა შორიდან, თუმც როინ კვასხვაძე ბურთს ადგილზე დახვდა. მარცხენა ფრთაზე პოლ კესანმა იაქტიურა და საჯარიმოში ეტიენ ბიტოო მოძებნა, მაგრამ მან სუსტად დაარტყა.

მე-5 წუთზე რევაზ გეწაძემ ჯარიმა შეასრულა და ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა. კვასხვაძემ მუშტებით ცუდად მოიგერია და სერგო ორბელაძეს გატანის კარგი შანსი მიეცა, თუმც რუსთაველს მიზანმა უმტყუნა. მალევე ნიკა სტეფანიშვილმა კოხტად მოიცილა რამდენიმე ზესტაფონელი და ბურთი ხუბუას გადააწოდა, მან კი კვლავ შორიდან მოსინჯა კვასხვაძის მზადყოფნა — მეკარე უშეცდომოდ გაისარჯა.

ამის შემდეგ ალექსი ბენაშვილის აქტიურობა იყო გამოსარჩევი — რამდენჯერმე შორიდან დაარტყა და სტუმრები ანერვიულა. მე-20 წუთზე კი საჯარიმოში არშესულმა შორეულ კუთხეში დაურტყა შეყრილაძეს — ბურთს ოდნავ შეეხო ოფსაიდში მყოფი გოცირიძე და გოლიც გავიდა. ბენაშვილის თანამსაჯის ალმართული ალამი არ შეუნიშნავს და გოლიც იზეიმა, მაგრამ, ცხადია, ბურთი არ ჩაითვალა.

თამაში მიწყნარდა და 38-ე წუთამდე არაფერი მომხდარა. ამ დროს კი გეწაძე შეაჩერა ედიკ საჯაიამ უხეშად — საჯარიმო ანტონ კოვალევსკიმ დაარტყა, არაზუსტად.

საერთოდაც, კოვალევსკის და ომელიანოვს ღირებული არაფერი შეუქმნიათ, ასევე ვერ იყო თამაშის იმტაზე დავით დევდარიანი.

მე-40 წუთზე რუსთაველები პენალტს ითხოვდნენ, თუმც გეწაძეს მსაჯმა სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი უჩვენა.

მეორე ნახევარი იგივე შემადგენლობით დაიწყეს გუნდებმა, პირველი შეცვლა კი თემურ მახარაძემ განახორციელა — 54-ე წუთზე ბიტოოს ნაცვლად იმერელთა მეგოლე ზურაბ იონანიძე შევიდა და... იონამ საჯარიმოში შესული გოცირიძე მოძებნა, გიორგი კახელიშვილმა კი ბექასთან ბრძოლაში წესი დაარღვია და პენალტი: იონანიძე — 1:0.

მალევე ხიდეშელი დაეცა „ოლიმპის" საჯარიმოში და ისიც პენალტს ითხოვდა, თუმცა გეწაძის მსგავსად, ყვითელი მიიღო.

ანატოლი პისკოვეცმა შეცვლებით სცადა მდგომარეობის გამოსწორება, თუმც თამაშის ხასიათი აღარ შეცვლილა...

# ამერმა წუთი-წუთში გათვალა



„მაღაროელს" პირველმა სულიკო დავითაშვილმა გაუტანა

თბილისი. 12 მარტი. 14.30 საათი. ამერი. 700 მაყურებელი

### ამერი 4:0 მაღაროელი (2:1)

1:0 დავითაშვილი (55), 2:0 შალამბერიძე (64), 3:0 გოცირიძე (72), 4:0 კაკაშვილი (89)

ამერი: ლ. ნადირაშვილი, მემარნიშვილი, ჩიკვილაძე, დავითნიძე, ელბაქიძე, დიდავა, დობროვოლსკი, შალამბერიძე (დოლიძე 73), დეკანოსიძე (რ. გოცირიძე 65), ტატანაშვილი, ს. დავითაშვილი (კაკაშვილი 59)
სათადარიგონი: ქვაჩახია, მესხი, ა. ალავიძე, სილაგაძე
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

მაღაროელი: მამარდაშვილი, მგელაძე (ტყემალაძე 64), შუკაკიძე, გ. ბრეგვაძე, გ. ილურიძე, ჩხარტიშვილი, ტყებუჩავა, გამცემლიძე, სეფერთელაძე, მდივნიშვილი, ხაჭიპერაძე
სათადარიგონი: დოლაძე, მ. სამხარაძე, ბიბილაშვილი, გაფრინდაშვილი, მიშველიძე, ცუცქირიძე
მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

გაფრთხილება: ილურიძე (57, 63)

გაძევება: ილურიძე (63), ტატანაშვილი (63)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიაძე, პ. დოგრაშვილი

დამკვირვებელი: პ. ბურჯალიანი

**კობა ინასარიძე**

**ანგარიშმა** არ მოგატყუოთ, თბილისის „ამერმა" გუშინ გლდანში ჭიათურის „მაღაროელი" დიდი ანგარიშით კი დაამარცხა, მაგრამ ვიდრე გოლების ცვენას ვნახავდით, იქამდე სტუმრების უპირატესობა, თავდაუზოგავი ბრძოლა და რამდენიმე საკმაოდ სახიფათო მომენტის მოწმენიც გავხდით.

გავიხსენოთ: მერვედფინალში ამ მეტოქეთა პირველი შეხვედრა ჭიათურაში დიდთოვლობის გამო გორში შედგა. „ყვითლებმა" 2:1 მოიგეს, თუმც კი პირობითად მასპინძელ „მაღაროელს" საგოლედ იმდენი ნაღდი შანსი ჰქონდა, სათვალავი აგერეოდათ.

როგორც იყო, „ამერი" საპასუხო მატჩს სტუმრად გატანილი ორი გოლით შეხვდა და ამით ნახევარფინალში გასასვლელად ფორა შეიქმნა... ასეთი უპირატესობის მიუხედავად კი, ისიც ცხადი იყო, რომ თბილისელებს „მაღაროელთან" გასეირნების იმედი არ უნდა ჰქონოდათ...

გუშინდელი მატჩის მთელი პირველი ტაიმი, გარკვეული ეპიზოდების გარდა, ჭიათურელებისა იყო და მათ ცოტა უფრო თავდაჯერებულად და ზუსტად რომ ეთამაშათ, ეგებ ეხეირათ კიდეც.

შეხვედრის დასაწყისშივე სტუმართა მარცხენაფლანგელ ზაურ ხაჭიპერაძეს საგოლედ ძალიან რეალური სიტუაცია შეექნა, ის „ყვითლების" მეკარე ლადო ნადირაშვილთან, ვფიქრობთ, მისთვისაც მოულოდნელად, პირისპირ დარჩა, მაგრამ კარგად ველარ დაარტყა და მეკარეს ბურთი მოხელთება აღარ გასჭირვებია. ნათელი გახდა, რომ მოგებული პირველი მატჩის შემდეგ „ამერი" მეტ ყურადღებას დაცვაზე გაამახვილებდა და მეტოქის გამოჭერას ეცდებოდა. ერთი-ორჯერ მასპინძელთა მწვავე და სწრაფმა შეტევებმა სტუმრებს მართლაც შეუქმნა პრობლემები, მაგრამ ეს ყველაფერი უშედეგო გამოდგა. სამაგიეროდ კი, „მაღაროელი" ჯიქურ მიიწევდა „ამერის" კარისკენ და ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მიხეილ ჩხარტიშვილის სახიფათო დარტყმულიც ვნახეთ — ბურთი ხარიხას გადასცდა.

თამაშის საერთო სურათი არც მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვლილა, ჭიათურელები გოლის გასატანად მიიწევდნენ, „ამერი" თავს იცავდა და ამ დაცვა-დაცვაში მასპინძლებმა სასურველიც მიიღეს: დიმიტრი ტატანაშვილი მეტოქის კარს მარჯვნიდან მიუახლოვდა და ბურთი სულიკო დავითაშვილს დაუგორა. ამერელთა მეგოლემ მცველსაც დაასწრო და მეკარესაც აუღებლად დაურტყა — 1:0. ეს გოლი, ფაქტობრივად, „ამერისთვის" ნახევარფინალის საგზურის მომტანი იყო. რა უნდა მომხდარიყო, მასპინძლებს „მაღაროელისგან" სამი უპასუხო გოლი მიეღოთ?! არც არაფერი მომხდარა.

გიორგი ჩიხრაძემ მეგოლე დავითაშვილი ორიოდ წუთში მცველ ლადო კაკაშვილით შეცვალა და დაცვა კიდევ უფრო გააძლიერა. კიდევ რამდენიმე წუთში კი არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა ტატანაშვილი და გიორგი ილურიძე მოედნიდან დაითხოვა. ილურიძემ მეტოქეს წმინდა საფეხბურთო ეპიზოდში ფეხი მიარტყა, წაქცეულმა ტატანაშვილმა ხურდა დაუბრუნა და დაიწყო გაწევ-გამოწევა... ფანიაშვილმა სტუმარს მეორე ყვითელი და შესაბამისი წითელი ბარათი უჩვენა, მასპინძელს — პირდაპირ წითელი.

დავითაშვილი ახალშეცვლილი იყო, ტატანაშვილი კი გაძევებული — „ამერი" უთავდამსხმელოდ დარჩა. ჩიხრაძემ რევაზ გოცირიძეს კი უხმო, მაგრამ ვიდრე შეცვლას გააკეთებდა, ფორვარდის საქმე კობა შალამბერიძემ ითავა. გააკეთა კიდეც — კობამ მცველთა უხეში შეცდომით ისარგებლა, დავით მამარდაშვილს აუღელვებლად გასცდა და ცაციათი ბურთი კარში შეაგორა. ეს უკვე „ამერისთვის" ნაღდი ნახევარფინალი იყო...

მერე თამაშში გოცირიძეც ჩაერთო და რამდენიმე წუთში უკვე შალამბერიძისგან მიიღო ჩინებული პასი — რეზომ ყველაფერი ზუსტად გააკეთა და გუნდი უფრო დააწინაურა. მატჩის ბოლოს კი კაკაშვილს ასისტენტობა გოცირიძემ გაუწია, მან ბურთი მცველებს გადაატარა, ხოლო „ამერის" მცველმა ბურთს მარჯვენა ჰაერშივე შეაგება და ასეთი ანგარიში დააფიქსირა.

ჭიათურელები პრესტიჟის გოლის გატანას ცდილობდნენ და საამისოდ იმედო ტყებუჩავას რამდენიმე შანსი ჰქონდა კიდეც, მაგრამ გოლის გატანა არც მცველებმა დაანებეს, თავადაც უზუსტოდ ურტყამდა და ერთხელაც, ეფექტურად გათამაშებული კუთხურის შემდეგ ტყებუჩავას ნადირაშვილმა არ გაატანინა...



# გერმანიამ რუსეთს მილიონი დაუმატა

## მალხაზ ასათიანი ძვირიანების სიაში

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი მცველი მალხაზ ასათიანი რუსეთის პრემიერლიგის 30 ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის სიაში მოხვდა.

სატრანსფერო ბაზრის გერმანელი ექსპერტების აზრით, ასათიანის ფასი 4 500 000 ევროა და ზემოთნახსენებ ჩამონათვალში 24-ე ადგილი უკავია.

რუსები კი ქართველი ფეხბურთელის რეალურ სატრანსფერო ფასად 3 500 000 ევროს ასახელებენ. ესეც იმ შემთხვევაში, თუ ასათიანი სრულად გამოჯანმრთელდება და ისეთ დონეზე ითამაშებს, როგორც 2-3 წლის წინ ირჯებოდა.

სიას სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ნახევარმცველი ანდრეი არშავინი ლიდერობს — გერმანელებმა ის 14 მილიონ ევროდ შეაფასეს, რუსები კი თვლიან რომ არშავინის ფასი 10-დან 11 მილიონ ევრომდეა.

**მიხეილ.ჟორჟოლიანი**

# რუბინმა კვირკველიას უფლება დაიბრუნა

**ყაზანის** „რუბინს“ ახალწვეულ დავით კვირკველიას საჩემპიონატო განაცხადში დარეგისტრირების უფლება მიეცა.

რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ყაზანელებს ახალი ფეხბურთელების დარეგისტრირების უფლება ყოფილი ფეხბურთელის, ვიტალი ვოლკოვის სახელფასო დავალიანების გამო აუკრძალა, თუმც „რუბინმა“ ეს პრობლემა უკვე მოაგვარა და კვირკველიას გაფორმებასაც წინ აღარაფერი უდგას.

შეგახსენებთ, რომ კვირკველია ამ ზამთარს ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან“, ცოტა არ იყოს, სკანდალურად გადავიდა „რუბინში“ და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლიდერ ყენიას პატარა კონკურენტი მოაკლდა

**ლევან ყენია** რომ „შალკესთან“ პროფესიულ კონტრაქტს 18 ოქტომბერს (ამ დღეს 18 წლის ხდება) გააფორმებს, ეს გეცოდინებათ. კონტრაქტი ავტომატურად განხორციელდება, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი ტალანტი ეგრევე „ხუმარათა“ პირველ გუნდში ითამაშებს — ამისთვის ჯერ კიდევ თავი უნდა მოაწონოს მწვრთნელებს.

ლევან ყენია, კარლოს სამბრანო და პასკალ ტესტროეტი — ეს ის სამეული იყო, რომლებსაც ყველაზე დიდი შანსი ჰქონდათ, მალე მოერგოთ მთავარი „შალკეს“ მაისურა.

თუმც 17 წლის ტესტროეტი სიაში აღარ არის — მან მოულოდნელად „ვერდერში“ გადასვლა არჩია, ასე რომ, ყენიას კონკურენტი მოაკლდა. მით უმეტეს, რომ ტესტროეტი დაახლოებით ლევანის ამპლუისაა.



ამასობაში კი „ესენის“ თანატოლებთან „შალკეს“ 19-წლამდელებმა რომ 3:1 მოიგეს, ყენია მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. ეს ოფიციალურად არა, მაგრამ „შალკეს“ ვებგვერდს სწორედ ასე უწერია — „პატარა შალკეს ნამდვილი ლიდერი“.

ლევანმა ამ მატჩში ერთი საგოლე პასი გააკეთა.

**ილია ნანოგაშვილი**

# მენთეშაშვილი ისევ უქმობს



**ბალტიისპირეთის** ქვეყნებში ჩემპიონატები ჯერ არ დაწყებულა, თუმც იქაურებმა „ბალტიის თასის“ გათამაშება დაიწყეს, ოღონდ უქართველებოდ.

პირველი „ქართული“ გუნდი, რომელიც ტურნირში ჩაება, ლატვიური „ვენტსპილსია“, რომელმაც 2:0 მოუგო ესტონურ „ფლორას“.

„ვენტსპილსმა“ ზურაბ მენთეშაშვილის გარეშე ითამაშა, რომელიც ტრავმისგან საბოლოოდ ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა და ისევ უქმობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველებმა მოტორი შეაჩერეს

**ლიტვურმა** „კაუნასმა“ თურქულ შეკრებაზე მორიგი ტესტ-მატჩი გამართა — სლოვენიურ „მოტორს“ 2:1 სძლია.

ნუკრი მანჩხავამ და აკაკი ხუბუტიამ სრულად ითამაშეს, ხოლო გივი კვარაცხელია მცირე ტრავმის გამო არ იყო მოედანზე.

ერთიც: მეორე გოლი მანჩხავას პასით გავიდა.

**ილია ნანოგაშვილი**

# იმნაძე ატლანტასში აიყვანეს

**ამასწინათ** ლიტვური კლაიპედას „ატლანტასის“ ფეხბურთელ გიგა იმნაძეზე ვწერდით. მას ლიტვურ ვებგვერდებზე ძალიან აქებდნენ და დაგვაინტერესა, მით უმეტეს, რომ ამ ბიჭზე თითქმის არაფერი ვიცოდით.

ერთ-ერთ გაზეთში იმნაძეზე ეწერა, 1991 წელსაა დაბადებულიო, თუმც როგორც შევიტყვეთ, 1986 წელს ყოფილა დაბადებული, ქუთაისელია და სამი წლის წინ წავიდა კლაიპედაში, სადაც მისი დეიდა და ბიძა ცხოვრობენ.

ქუთაისში იმნაძე ჭაბუკთა გუნდ „იმედში“ თამაშობდა, ახლახან კი იგი „ატლანტასის“ მთავარ გუნდში აიყვანეს — „ატლანტასი“ ლიტვის უმაღლესი ლიგის საშუალო დონის კლუბია.

21 წლის ქართველმა ფორვარდმა ორიოდ დღის წინ „კაუნასის“ დუბლშემადგენლობასთან საკონტროლო მატჩში ერთი გოლი გაიტანა, თამაში კი მისიანებმა 2:0 მოიგეს.

**ილია ნანოგაშვილი**



# ჩემპიონი მაშინ ხარ, როცა კისერი გიმძიმს

## ვაჟა თარხნიშვილის მოლდოვური ხედვა

მოლდოვური „შერიფის“ კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილი ლამის იქაური ფეხბურთის ლეგენდაა. ქართველი მცველის ტიტულებისა და პირადი ჯილდოების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ფაქტია, თარხნიშვილი არამარტო იქაური გულშემატკივრების საყვარელი ფეხბურთელია, არამედ ჟურნალისტთათვის საინტერესო რესპონდენტია.

თარხნიშვილი მოლდოვური საფეხბურთო არხის სტუმარი გახლდათ და იქაური ფეხბურთის ავან-ჩავანზე ისაუბრა...

„მოედანზე უნდა დავამტკიცოთ, რომ სხვებზე ძლიერნი ვართ და ბოლო წლებში მუდმივად ჩემპიონობა ტყუილად არ მოგვიპოვებია. „შერიფი“ მარტო მოლდოვაში არ არის ცნობილი, ჩვენ ევროპაშიც გვიცნობენ. რაც შეეხება წლევანდელ ჩემპიონობას, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. შარშან „ზიმბრუს“ 15 ქულით ვუსწრებდით. მაშინ გვეკითხებოდნენ, ვთვლიდით თუ არა თავს ჩემპიონებად. ჩემპიონად თავს მაშინ ვიგრძნობ, კისერზე მედალს რომ ჩამოვიკიდებ. ახლა კი სხვაობა 7 ქულაა და წინ ნახევარი სეზონია. ჩვენ ყოველ მატჩზე მოსაგებად გავალთ, თუნდაც ბოლო ტურშიც შვიდქულიანი სხვაობა იყოს“.

*„შერიფის“ მთავარმეტოქე კი „დაჩიაა“, სადაც ასევე ქართველები, ლევან კორღალიძე და ჯაბა დვალი თამაშობენ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა „შერიფს“ კონკურენციას „ზიმბრუს“ გარდა სხვა კლუბი უწევს. „შერიფი“ — „ზიმბრუ“ კი მოლდოვის უპირველესი დერბია...*

„ჩვენი და „ზიმბრუს“ დაპირისპირება უკვე ტრადიციაა, ისევე, როგორც იტალიაში „მილანი“ — „ინტერი“, ან ინგლისში „მანჩესტერი“ — „სიტი“. „დაჩიამ“ წლების მანძილზე უნდა ითამაშოს მაღალ დონეზე, რათა ჩვენი დაპირისპირებაც ანალოგიურად იქცეს. ახლა „ზიმბრუ“ „დაჩიაზე“ სუსტად გამოიყურება. „დაჩია“ ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩემთვის „ზიმბრუ“ — „შერიფი“ უფრო საინტერესოა“.

*„შერიფს“ „თანამეგობრობის თასის“ მოპოვების ერთ-ერთ პრეტენდენტად თვლიდნენ, თუმც მოლდოველები ტურნირს მეოთხედფინალში დაემშვიდობნენ, სადაც მომავალ გამარჯვებულ აზერბაიჯანულ „ხაზართან“ დამარცხდნენ...*

„ტურნირი ვერ მოვიგეთ, ესე იგი, სუსტად ვითამაშეთ. აქ დამნაშავე ერთი პიროვნება არ არის — იგებს ყველა და აგებს ყველა. ფეხბურთი ჭადრაკი არ არის, რომ ერთმა დაუშვას შეცდომა, ფეხბურთი გუნდური თამაშია. ისიც აღსანიშნავია, რომ შეუთამაშებლობა გვაკლდა, ალბათ ესაა მთავარი მიზეზი. იმ დასაწყევლი მატჩის ბედი ბოლო 15 წამში გადაწყდა. ფეხბურთიც ასეთია — ბოლომდე უნდა ითამაშო. საგაისოდ უკეთესად მოვემზადებით და ვეცდებით, კიდევ ერთხელ მოვიპოვოთ „თანამეგობრობის თასი“.

*არის თუ არა საჭირო „თანამეგობრობის თასის“ ჩატარება? ეს კითხვა ყველა იმ ქვეყანაში აწუხებთ, რომლებიც ამ ტურნირზე თამაშობენ. რუსეთმა და უკრაინამ იგნორირება არ გამოუცხადეს, თუმც შეჯიბრზე სარეზერვო გუნდებს აგზავნიან. ვაჟა თარხნიშვილს კი განსხვავებული აზრი აქვს...*

„ეს იმათი პრობლემაა, ვინც სარეზერვო გუნდს აგზავნის. ტაბლოზე არ იწერება — „დინამო“ კიევის სარეზერვო გუნდი, იწერება „დინამო“ კიევი. სხვა ქვეყნები ამ ტურნირს ალმაცერად არ უყურებენ. პირიქით, „თანამეგობრობის თასი“ კარგი ტრამპლინია კარიერის მოსაწყობად. როდესაც 2003 წელს ეს ტურნირი მოვიგეთ, თითქმის ყველა ფეხბურთელს მსურველი გამოუჩნდა და ვინც წავიდა, მაღალ დონეზე ითამაშა. ახლაც ჩვენგან ოთხი ფეხბურთელი წაიყვანეს. ამ ტურნირზე ევროპელი დამკვირვებლები მრავლად ჩამოდიან“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მრგვალი მაგიდის ნასუფრალზე

— **იცით**, ფეხბურთზე წასვლის ხსენებაზე, უნებლიედ, რა მაგონდება? — ამბობდა იმ დღეს 22 წლის ადამიანი, ჩვეულებრივი გულშემატკივარი, რომლისნაირებიც სტადიონებზე 50-60-ათასიან დასწრებას ქმნიან — მზესუმზირა! თვალწინ წარმომიდგება, რომ მიჭირავს ხელში მზესუმზირით სავსე დიდი პარკი და ვიფურთხები...

მერწმუნეთ, ამ ადამიანს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ გულშემატკივარია. ის საფეხბურთო მოვლენებში მშვენივრად ერკვევა, უბრალოდ, მისთვის ფეხბურთი რელიგია არ არის. ერთი სიტყვით, რაც რამდენიმე სტრიქონის წინ გითხარით, იმას გავიმეორებ: ეს 22 წლის ახალგაზრდა გახლავთ ერთი იმ ათიასებიდან, რომელთა წყალობითაც მთელს მსოფლიოში ფეხბურთი ბიზნესია, თან ძალიან დიდი ბიზნესი. ხოლო უმცირესობა, რომელიც, შესაძლოა, ფეხბურთით ცხოვრობს, დღედაღამ ფეხბურთზე ლაპარაკობს და საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზეც კი დადის, დიდი ბიზნესისთვის რაოდენობის თვალსაზრისით, საკმარისი არ არის.

ჰოდა, ქართული ფეხბურთის შეფნო და მოამაგენო, თუ გინდათ, რომ განვითარებულ ქვეყნებს ფეხი აუწყოთ, ყველა ღონე იხმარეთ, რათა ამ ახალგაზრდისთვის სტადიონზე მისვლა მზესუმზირის ჩენჩოს ფურთხებაზე მეტი გახდეს — ასეთი შესავლით, გასულ კვირას, „სარბიელის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ოთხდღიან მრგვალ მაგიდას მინდა გამოვეხმაურო, ოღონდ, ბუნებრივია, ვებერთელა თემას თავიდან ბოლომდე ვერ გავწვდები და თქვენი ნებართვით, რამდენიმე საკითხს ამოვკრეფ, თან უსისტემოდ.

შეგახსენებთ, „სარბიელში" გამოქვეყნებული მსჯელობის მონაწილენი გახლდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, მუსიკათმცოდნე-ფოლკლორისტი გია ბალაშვილი, საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე, ქართული რაგბის ვარსკვლავი ლევან ცაბაძე და ჟურნალისტები, გიორგი დარჯანია და კობა ინასარიძე.

და ისევ იმ 22 წლის ახალგაზრდას დავუბრუნდეთ, რომლისთვისაც ფეხბურთზე წასვლა, უპირველეს ყოვლისა, მზესუმზირის კნატუნთან არის დაკავშირებული. იმავე საუბარში მანვე თქვა, რომ მზესუმზირა მზესუმზირად და, კიდევ, სტადიონზე წასვლა მისთვის არის ჩვენი ნაკრების წაგება, წაგება, წაგება და კიდევ ერთხელ წაგება... ნუ იფიქრებთ, რომ აქ მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელიწადზეა საუბარი...

— ჩემთვის კი სტადიონზე წასვლა რა არის, იცით? ვოროშილოვგრადის „ზარიაა" ჩამოსული, ხალხის მდინარე სტადიონს უახლოვდება და ყველა ერთმანეთს ხმამაღლა ეკითხება: დღეს 3:0-ს მოვიგებთ თუ 4:0-ს? რომ მოვიგებთ, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ეს ტკბილი ეიფორიის განცდა ამდენი წელია, არ მშორდება — უპასუხა 22 წლის კაცს მამის მეგობარმა.

და, სტოპ! მგონი, უპრინციპულეს საკითხს მივადექით: ვინ ვართ და



ბაქარ ქილიშაძის ფოტო

რა გვინდა? ეს არის კითხვა, რომელიც აუცილებლად მკაფიო პასუხს ითხოვს და რომელიც „სარბიელის" მრგვალ მაგიდასთანაც გაისმა. გია ბალაშვილმა თქვა საქართველოს ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერის თაობაზე საუბრისას: „... მერე ის, რომ საქართველო ლუქსემბურგს შეადარა, როგორც საფეხბურთო ქვეყანა... მოკლედ, ამ სიტუაციაში, თუკი ჩვენ თამასას დაბლა დავუწევთ, მას, რა თქმა უნდა, იოლად გადააბიჯებს..."

ერთი წამით გავიხსენოთ ყველაფერი: რა ინფრასტრუქტურა გვაქვს, რა მოედნები, რა გარემო, რა ფეხბურთელები გვყავს და მერე დავაზუსტოთ, სად უნდა გადიოდეს თამასა, ვოროშილოვგრადის „ზარიასთან" თუ მზესუმზირის ჩენჩოზე ცოტათი მაღლა. პირადად მე „ზარიას" თაობიდან ვარ და ნებით თუ უნებლიედ, იმის მისახვედრად, რომ სინამდვილეში, სადღაც ძალიან ცუდ ადგილზე ვიმყოფებით, დიდი ხანი დამჭირდა, მაგრამ არიან სხვა ადამიანებიც, ისინი, ვინც ჩვენ, მამებმა, ჩვენთვის ასე ნაცნობი ტკბილი ეიფორიის გაზიარების მიზნით სტადიონზე წავიყვანეთ და უნებლიედ კატასტროფის მოწმენი გავხადეთ. მათთვის უკვე ქართული ფეხბურთი სულ სხვა რამ არის. ჰოდა, ამიტომაც, თითქოს, ჯერ თავად უნდა გავარკვიოთ, რას ვითხოვთ ამ ჩვენი ნაკრებისგან და მისი გამოსვლა იმის მიხედვით უნდა მოგვეწონოს ან არ მოგვეწონოს.

თუმცა იმაში, რომ „ტოპმიოლერს რეალისტური მაგრამ, ამ სიტყვის კარგი გაგებით, არაკომფორტული გარემო უნდა ჰქონდეს", ანუ კრიტიკოსის მახვილ მზერას გამუდმებით უნდა გრძნობდეს, შეუძლებელია, ბატონ ბალაშვილს არ დაეთანხმო.

საერთოდაც, საქართველოს ნაკრებისა და ბატონი ტოპმიოლერის თემა „სარბიელის" „მრგვალ მაგიდასთან" ერთ-ერთი წამოწეულთაგანი გახლდათ. სხვანაირად ვერც იქნებოდა. რაგინდ ბევრი ვუძახოთ ნაკრებს, აისბერგის მხოლოდ და მხოლოდ მწვერვალი, ის მწვერვალია. როგორც „მრგვალ მაგიდასთან" ითქვა, საქმისთვის ხელის ნაკრების მხრიდან მოკიდებას თურმე ქართველ ფეხბურთელებსაც საყვედურობენ და მორაგბეებსაც, მაგრამ, თუ სწორად გავიგე, ორივე სახეობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ნაკრების წარმატება ქვეყანაში სახეობის განვითარების წინაპირობაა.

რა შეიძლება, ამაზე ითქვას? მარტივი რამ: ვინც არ უნდა იყოს ქართული ფეხბურთის სათავეში, ბავშვთა ფეხბურთის, ეროვნული ჩემპიონატების თუ ნაკრების განვითარებაზე ზრუნვა ერთდროულად მოუწევს. ფეხბურთი რთული, კომპლექსური სფეროა და ხელის ჩასაჭიდიც ბევრი მხრიდან აქვს. ერთი სიტყვით, ნაკრების გაძლიერება მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ.... აი, გავიდა მთელი შესარჩევი ციკლი, რაც საქარველოს ნაკრების სათავეში კლაუს ტოპმიოლერია და შეგრძნება იმისა, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი დღეს ორი წლის წინანდელთან შედარებით განვითარების სხვა სიმაღლეზეა (წამით ცხრილს თავი დავანებოთ), რაღაც არ ჩანს. მაშ, რას მიეძღვნა ეს ორი წელიწადი? რას და, სავარაუდოდ, იმაში დარწმუნებას, რომ ის, რასაც ბატონი ტოპმიოლერი თავიდან ეყრდნობოდა, მთლად მყარი არ ყოფილა — საქართველოს გარეთ ჯგუფიდან გასაღწევად საჭირო დონის ფეხბურთელები საკმარისი რაოდენობით არ ყოფილან. ერთი სიტყვით, მზა პროდუქტი არ არსებულა და თურმე სტრატეგია ამ პროდუქტის დამზადებაზეა ასაღები. გახსოვთ, რამდენჯერ ბრძანა ნაკრების გერმანელმა მესაჭემ, საქართველოს ჩემპიონატიდან ფეხბურთელების მოწვევას აზრი არ აქვს, აქ იმდენად დაბალი დონეაო? ორწლიანი მუშაობის ბოლოს კი გაირკვა, რომ მისი წარმატების იმედი თბილისის „ლოკომოტივის" ვარსკვლავი ლევან ყენია, თბილისის „დინამოს" მეოთხე მეკარე გიორგი მაკარიძე და კიდევ რამდენიმე „აქაური" ფეხბურთელი ყოფილა. ერთი სიტყვით, მგონი, სტრატეგია იცვლება, რაც, შესაძლოა, ცუდი სულაც არ იყოს, მაგრამ, ბუნებრივია, თავიდანვე სწორი სტრატეგიის შერჩევა აჯობებდა.

ამ თემაზე, „სარბიელის" „მრგვალ მაგიდასთან", საინტერესო კიდევ ის ითქვა, რომ კლაუს ტოპმიოლერის ახალი კონტრაქტი ძველისგან განსხვავებით, უფრო დახვეწილად უნდა იყოს შედგენილი. მართლა ასეა თუ არა, გამოჩნდება, მაგრამ ბატონმა ნოდარ ახალკაცმა თქვა, რომ გერმანელ სპეციალისტს ახალ ხელშეკრულებაში საქართველოში ყოფნის ვადაც ზუსტად ექნება ჩაწერილი და ისიც, თუ რას უნდა მიაღწიოს პირველ ოთხ თამაშში, მეორე ეტაპზე და ასე შემდეგ. ზუსტად რა არის და როგორ, ახალკაცის თქმით, ტოპმიოლერის ახალი კონტრაქტის პრეზენტაციაზე ითქმება, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ უფალი ტოპმიოლერის წინაშე მაქსიმალურად კონკრეტული ამოცანა დადგება და ისიც ცნობილი გახდება, თუ ამ ამოცანის არშესრულების შემთხვევაში რა ელის ხელმოცარულ „ტრენერს", ხალხს მისი დიდი ხელფასით და ამ ხელფასის უკუპროპორციული შედეგით გამოწვეული გაღიზიანება, სავარაუდოდ, შეუნელდება.

რაც შეეხება ასაკობრივ ნაკრებებს, აქ ქართველი მწვრთნელები გამოჩნდნენ და ეს კარგია, რადგან თუ ქართულ ნაკრებთა ერთიან სტრატეგიას დაქვემდებარებული მექანიზმი ამუშავდება, ისინი გამოცდილებას შეიძენენ.

აქამდე ასე რატომ არ იყო? ვფიქრობ, ზუსტად იმიტომ, რატომაც მივიდნენ ინგლისის ნაკრებში ფაბიო კაპელოს ასისტენტებად იტალიელები — შენ გინდა კაპელო, მას კი თავისი პირობები აქვს. მერე დროთა განმავლებაში რაღაცები, შესაძლოა, შეიცვალოს და ეს ნორმალურია. საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების შემთხვევაში შეიცვალა.

მაშ ასე, ვფიქრობ, აშკარად გამოიკვეთა, რომ მარტო უკრაინაში, რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ორ-სამ ქვეყანაში წასული ფეხბურთელებით ფონს ვერ გავდივართ და იმისათვის, რომ შედეგს მივაღწიოთ, საჭიროა, საქართველოს ჩემპიონატი, ძველი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, ახალ ფეხბურთელთა სამჭედლოდ ვაქციოთ. კიდევ, გამოდის, რომ საქართველოს ჩემპიონატი და ნაკრები იმაზე გაცილებით მეტად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, [illegible] ხედვით ჩანდა. სხვა სიტყვებით, ქართული გუნდები ყენიას და ბოლოხანს ნაკრებში შეყრილ სხვა ახალგაზრდებს ახლებსაც თუ შემატებენ, ტოპმიოლერს მოგების შანსი გაეზრდება. თუ არა და, გინდ ტოპმიოლერი გყოლია, გინდ მარჩელო ლიპი და გინდ ვერტყვიჭალის ცოლიანთა გუნდის თავკაცი. ამ ყველაფერთან დაკავშირებით კი „სარბიელის" „მრგვალ მაგიდასთან" რამდენჯერმე ითქვა: ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა შეჩერებულია.

ამაზე რა კომენტარის გაკეთება შეიძლება? ამაზე, იმის თქმა შეიძლება, რომ სახელმწიფოს ნების გარეშე ფეხბურთის განვითარება გამორიცხულია, ხოლო რამდენად კარგია პროგრამა, რომელიც „მრგვალი მაგიდის" მონაწილეებმა რამდენჯერმე ახსენეს, ჯერ კიდევ კაცმა არ იცის და პრაქტიკაშია შესამოწმებელი. თუ ეს პროგრამა დიდი ხნით დარჩება დროებით შეჩერებული, ქართული ფეხბურთი ტრაგედიიდან ტრაგიკომედიის ჟანრში გადავა. „მრგვალი მაგიდის" მონაწილეებმა კი ოთხ საგაზეთო დღეზე გადანაწილებული საუბრისას დღგ-ც ახსენეს და მოედნების მორწყვის ფასიც, მაგრამ ამ დეტალებზე საუბარს ახლა არ შევუდგებით. ერთს გავიმეორებ: მართლა გამოდგება ეს პროგრამა ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის თუ არა, საქმეშია სანახავი. ისე, რაც უფრო მეტად დააინტერესებენ ფულიან ხალხს სპორტის ამ სახეობაში საქმიანობით, მით უკეთესი იქნება.

თემათა შორის მოზრდილი ადგილი ეკავა ბავშვთა ფეხბურთის განვითარებასაც. ითქვა, რომ აქ გაღებული შრომის შედეგებს წლების მერე მოვიმკით და ითქვა, რომ ბავშვებს ხარისხიანი მოედნები სჭირდებათ. ერთიც სწორია და მეორეც, თუმცა მოედნების საკითხი ისევ ფულთან და სახელმწიფოს სტრატეგიასთან არის დაკავშირებული.

დაბოლოს ის საკითხი, რამაც კიდევ ერთხელ გამოიწვია ცხარე კამათი: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. რა მოხდა 2005 წლის 13 მაისს და რატომ გადადგა იმ დღეს გამარჯვებული კანდიდატი გიორგი ნემსაძე.

რატომ გადადგა ნემსაძე, ეს, საზოგადოებას, რომელიც იმ დღეს ვერა და ვერ ივიწყებს, ადრე თუ გვიან, ალბათ თავად ნემსაძემ უნდა უამბოს, ხოლო უნდა გაიმართოს თუ არა პრეზიდენტის ახალი არჩევნები....

პირდაპირ გეტყვით: თუ სახელმწიფო ფეხბურთის განვითარებას თავის ნამდვილ პრიორიტეტად არ მიიჩნევს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სახელსა და გვარს დიდი მნიშვნელობა არ ექნება. ფეხებზე ცენტნერიანი გირებით ასახტომად გინდა სერგეი ბუბკა გაუშვი და გინდა, ქუჩაში პირველივე შემხვედრი.

ასე რომ, ჯერ საით მივდივართ, ის მითხარით! კეთილი ნება და ტენდენცია დამანახეთ!

**ილია ბაბუნაშვილი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
## მერვედფინალი. საპასუხო მატჩი

**ინტერი (იტალია) 0:1 ლივერპული (ინგლისი) (0:2)**

0:1 ტორესი (64)
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო, რივასი, კივუ, კამბიასო, ძანეტი, ვიეირა (პელე 77), სტანკოვიჩი (ხიმენესი 84), იბრაჰიმოვიჩი (სუასო 80), კრუსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ლივერპული: რეინა, კარაგერი, შკრტელი, ჰუუპია, ფაბიო აურელიო, მასკერანო (პენანტი 87), ლუკაშ ლეივა, ჯერარდი, ბაბელი (ბენაიუნი 61), კუიტი (რიისე 81), ტორესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ბაბელი, ბურდისო, ჯერარდი, ბურდისო, ფაბიო აურელიო, რივასი, სტანკოვიჩი, ბენაიუნი, კივუ
გაძევება: ბურდისო (50)
მსაჯი: ტომ ჰენინგ ევრებიო (ნორვეგია)
80 000 მაყურებელი

# კარგად ბრძანდებოდეთ!
## რობერტო მანჩინი ინტერიდან მიდის


კივუმ და „ინტერმა“ ფერნანდო ტორესი ვერ შეაკავეს

**რობერტო მანჩინი** სეზონის ბოლოს „ინტერიდან“ წავა. 43 წლის იტალიელმა ეს „ლივერპულთან“ მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტით კიდევ ოთხი წელი დამრჩა, სეზონის დამთავრების შემდეგ „ინტერს“ დავტოვებ. ამის შესახებ ფეხბურთელებს უკვე ვუთხარი. ჩემს გადაწყვეტილებას „ლივერპულთან“ მარცხს ნუ დაუკავშირებთ“ — უთხრა მანჩინიმ ჟურნალისტებს.

კლუბს ოფიციალურად არ დაუდასტურებია ეს ამბავი. ხულიო კრუსმა და ესტებან კამბიასომაც გაიკვირვეს, როცა მათ მწვრთნელის წასვლაზე ჰკითხეს. „ეს ჩემთვის მოულოდნელია — განაცხადა კრუსმა — გასახდელში არაფერი უთქვამს, ალბათ უცბად გადაწყვიტა. არ მეგონა, თუ ასეთ ნაბიჯს გადადგამდა“.

ჟურნალისტებს კამბიასომაც დაუდასტურა, რომ მანჩინის გასახდელში წასვლაზე კრინტი არ დაუძრავს.

მოკლედ, მეოთხედფინალში ოთხი პრემიერლიგელი პირველად გავიდა და მათგან ორმა მილანური კლუბები დაამარცხა. „არსენალმა“ „მილანი“ გაისტუმრა, „ლივერპულმა“ კი „ინტერი“. აღსანიშნავია, რომ „მილანმაც“ და „ინტერმაც“ ორ-ორ მატჩში ერთი გოლიც ვერ გაიტანეს.

რაც შეეხება თამაშს, რობერტო მანჩინიმ ასე შეაფასა: „პირველ ტაიმში ერთი შანსიც რომ გამოგვეყენებინა, სურათი რადიკალურად შეიცვლებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. მეორეში კი იგივე მოხდა, რაც პირველში — ფეხბურთელი გაგვიძევეს და ათი კაცით ასეთი მეტოქის ძლევა შეუძლებელია. ფაქტობრივად, ორმატჩიანი დუელის ბედი ორმა წითელმა ბარათმა გადაწყვიტა“.

ბურდისოს გაძევებაზე მწვრთნელმა თქვა: „ბურდისო გაშლილი ფეხით წავიდა, მაგრამ ლეივას არ შეხებია. მსაჯმა ეს ისეთი კუთხიდან დაინახა, რომ ჯარიმად შეაფასა და ჩემს ფეხბურთელს მეორე ყვითელი ბარათი აჩვენა. არადა, პირველ ტაიმში ლივერპულელებმა სამ-ოთხჯერ აშკარად იუხეშეს და გაფრთხილებას იმსახურებდნენ“.

ხავიერ ძანეტი: „რა თქმა უნდა, ძალიან გულდაწყვეტილები ვართ, რადგან მომენტები გვქონდა, ბურთმა კი კარში შესვლა არ ინება. ბურდისოს გაძევების შემდეგ თამაშს „ლივერპული“ აკონტროლებდა“.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „აქაც და „ენფილდზეც“ იღბალი ჩვენ მხარეს არ იყო. ორჯერვე კაცნაკლულები დავრჩით, თუმც ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც გვეკადრებოდა. საბოლოოდ, უფრო ძლიერმა მოიგო“.

რაფაელ ბენიტესის აზრით, ლივერპულშივე გაირკვა, თუ ვინ გავიდოდა მეოთხედფინალში. „ცხადია, კაცნაკლულ მეტოქესთან თამაში გაცილებით იოლია. მით უმეტეს, როცა მას აუცილებლად გამარჯვება სჭირდება და გიტევს, მაგრამ ვფიქრობ, რომ „ენფილდზე“ გატანილმა ორმა გოლმა გადაწყვიტა ამ მატჩების ბედი. თანაც ჩვენ ამჟამად საუცხოო ფორმაში ვართ, „ინტერს“ კი რთული პერიოდი უდგას“.

სტივენ ჯერარდი კი უკვე მომავალ მეტოქეს დაემუქრა: „არა მგონია, რომელიმე მეოთხედფინალისტს „ლივერპულთან“ შეხვედრა სურდეს. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ფერნანდო ტორესი გვყავს. მას მხოლოდ შანსი მიეცი და აუცილებლად გამოიყენებს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინტერმა ალვეში მოინდომა



**კვირას** პრიმერადივიზიონის 28-ე ტურში „ალმერია“ „ბარსელონას“ მასპინძლობს, ადგილობრივთა ბრაზილიელ გოლკიპერს დიეგო ალვეშს კი იტალიური „ინტერის“ მიერ გამოგზავნილი სკაუტები დააკვირდებიან.

„ინტერნაციონალეს“ „მედიტერანეოსის“ არენაზე ალვეშის დასახვედრად, არც მეტი, არც ნაკლები, ლეგენდარული ლუის სუარესი გამოუგზავნია. თუმც ბრაზილიელი ამას ნამდვილად იმსახურებს. ალვეში ახლა ესპანეთის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება და იტალიურ გრანდსაც სურს, „ატლეტიკუ მინეირუს“ ექსგოლკიპერის სიჩაუქეში დარწმუნდეს.

ალვეშმა ამ სეზონში „ალმერიას“ კარის მშრალად შენახვა 678 საპრიმერო წუთის განმავლობაში შეძლო, მერე კი ბრაზილიელს გოლი „რასინგის“ ტშიტემ გაუტანა. დიეგოს „ალმერიადან“ საკონტრაქტო ვადაზე ადრე წასვლა 15 მილიონი ევრო ღირს და კლუბის პრეზიდენტი ალფონსო გარსიაც აცხადებს, რომ ამ სეზონში ნიჭიერ მეკარესთან განშორებას არ აპირებს.

ოკეანისგაღმელმა „ალმერიას“ მისადგომების ფხიზლად დარაჯობით ადგილობრივი ინჩადის დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ალმერიელი ფანები ალვეშს აღმერთებენ და მათთვის საშინელება იქნება, რომ გუნდის ერთ-ერთი ვარსკვლავი „ინტერმა“ ან სხვა რომელმე გუნდმა წარიტაცოს.

საკლებო სარბიელზე დიეგო ალვეშის წარმატებას ბრაზილიის ნაკრებშიც ამჩნევენ და აი, შედეგიც — „კანარინიას“ დამრიგებლებმა დუნგამ ალვეში შვედეთთან, 26 მარტს გასამართი ამხანაგური მატჩისთვის, ეროვნულ გუნდში მიიწვია. შეხვედრა ლონდონურ „ემირეიტს სტედიუმზე“ ჩატარდება და 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ჯახს მიეძღვნება. „ეროვნულ გუნდში თამაში ჩემთვის დიდი წარმატებაა“ — აცხადებს გახარებული ალვეში.

**ლადო ხომერიკი**

# მანჩინის მისტერია

## რატომ წავიდა რობერტო მანჩინი ასე — გულგატეხილობა, უიღბლობა, იძულება? სუზი კამპანალემ ეს არ იცის, მაგრამ დარწმუნებულია, რომ „მანჩოს" მხრიდან ეს კარგი საქციელი არ იყო



ევროსარბიელზე „ინტერის" ბოლოდროინდელ წარუმატებლობებზე დისკუსიას არც კი დავიწყებ. რაზე ვთქვათ, საჩემპიონთალიგო მენტალიტეტის უქონლობაზე, დიდ კლუბებთან ღირსეულად თამაშის უუნარობაზე, უდისციპლინობაზე, მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე დანებებაზე, რაც საშინლად გამოჩნდა თუ ზლატან იბრაჰიმოვიჩის მტკივნეულად ჩაგდებულ თამაშზე? რაც ნიშნავს, რომ იგი ვერასდროს მოიგებს „ოქროს ბურთს", რამდენი ფინტები და უცნაური ტრიუკებიც უნდა აკეთოს „რეჯინებთან". არა, ეს ჩანახატი მხოლოდ რობერტო მანჩინის საიდუმლოებით მოცულ გადაწყვეტილებაზეა, იმაზე, თუ როგორი გზით გადაწყვიტა მან გადადგომა.

მატჩის შემდეგ მანჩინიმ ჩვეულებრივ შემოიარა რადიო და ტელეჟურნალისტები, რომლებთანაც არაფერი თქვა გადადგომაზე. ამაზე მხოლოდ მაშინ ალაპარაკდა, როცა ბეჭდვითი მედიისთვის მოაწყო პრესკონფერენცია. როცა სტადიონს ტოვებდა, კვლავ ჩაუარა ბევრ კამერასა და მიკროფონს, მაგრამ წასვლაზე ისევ არაფერი თქვა — მხოლოდ თამაშზე მინდა ლაპარაკიო. ფეხბურთელებმა კი განაცხადეს, რომ გაოგნებულნი არიან...

აქ რაღაც ხდება და პირველი ვარიანტი ის არის, რომ მანჩინი ფიქრობდა, „ინტერს" წაიყვანდა ისე შორს, როგორც შეძლებდა და წინასწარ ჰქონდა წასვლა გადაწყვეტილი, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვის წინ კლუბთან ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ შემთხვევაში რატომ გააკეთა მან ეს განცხადება ახლა, როცა გუნდი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა და სერია A-ში უპირატესობა ექვს ქულამდე შეუმცირდა? ფანები ხომ ისედაც ცუდ გუნებაზე იყვნენ და მისი გადაწყვეტილება ვერაფერს გამოასწორებდა.

ვარიანტი მეორე — მანჩინიმ ეს გადაწყვეტილება ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის მერე მიიღო და თავისი ღირსების შესანარჩუნებლად მყისვე ყველას უთხრა — დროა, სხვაგან წავიდეო. ამით მან თავიდან აიცილა მედიის ზედმეტი კრიტიკა, საუბრები მისი მოხსნისა და ჟოზე მაურინიუს დანიშვნის შესახებ და ასე შემდეგ. ეს ალბათ უკეთესი ახსნა და გამოსავალია, მაგრამ ყველაზე ცუდი გზა მანჩინისთვის ამ განმავლობაში „ინტერში" თავისი ნაღვაწის, მიღწევებისა და რეკორდების დასაცავად.

მესამე ვარიანტი ყველაზე შემაშფოთებელია. მანჩინიმ იცოდა, რომ საშინელი კრიტიკა ელოდა, „ინტერში" მაურინიუს მოსვლასთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმით გულგატეხილი იყო, „ლივერპულთან" წაგებული მატჩის შემდგომმა ინტერვიუებმა კიდევ უფრო ცუდ გუნებაზე დააყენა და ეს შოკისმომგვრელი განცხადება ცხელ გულზე გააკეთა. მანჩინის დაახლოებით ასე გამოუვიდა — ცოლი ქმარს რომ ეკითხება, ხომ არ გავსუქდიო, იგი კი თავაზიანობითა და ხათრით პასუხობს: „არა, არა, ბრწყინვალედ გამოიყურები, ოდნავადაც არ შეცვალო!" ამ შემთხვევაში მან, პირდაპირ თუ ირიბად, დაახლოებით ასე მიმართა „ნერაძურის" პრეზიდენტს, ფეხბურთელებსა და ფანებს.

მანჩინიმ ნაწყენის, შეშინებულის და ეგოისტის შთაბეჭდილება დატოვა და არა მგონია, ეს ნაბიჯი მის კარიერაში პლუსად ჩაითვალოს, პირიქით... ასეა თუ ისე, ფაქტია, მან ცუდი ვითარება კიდევ უფრო გააუარესა.

**სუზი კამპანალე**

# კუპერი ცვლილებებს გეგმავს

**იტალიური** „პარმას" ახალი მთავარი მწვრთნელი არგენტინელი ექტორ რაულ კუპერია. მან დომენიკო და კარლო შეცვალა და შეეცდება, „ენიო ტარდინის" ბინადრებს სერია A-ში დატოვოს.

„ძალიან მიხარია, რომ იტალიაში დავბრუნდი და ამისთვის მადლობას ვუხდი „პარმას" პრეზიდენტ ტომაზო გირარდის. როცა მან ეს საქმე შემომთავაზა, მყისვე დავთანხმდი. რთული ამოცანა გვაქვს, მაგრამ მჯერა, მას თავს გავართმევთ. გუნდის თამაშები ნანახი მაქვს და რაღაც-რაღაცებს ყველა რგოლში შევცვლი, რადგან ეს საჭიროა. ახლა ლაპარაკის კი არა, მოქმედების დროა. სეზონის დასრულებამდე დიდი ხანი არ დარჩა, მაგრამ სიმშვიდე უნდა შევინარჩუნო. ბიჭებს უნდა დაველაპარაკო, მთავარი ფსიქოლოგიური განწყობაა. ისიც კარგია, რომ ყველა ღიმილით დამხვდა" — თქვა კუპერმა.

წინა სეზონში, ამავე პერიოდში,



გირარდიმ „პარმაში" კლაუდიო რანიერის უხმო, რომელმაც გუნდი გავარდნას გადაარჩინა, ახლა კი არგენტინელი სპეციალისტის ჯერია.

ექტორ რაულ კუპერი: „არ მაშინებს, რომ რანიერის მადარებენ. ის „იუვენტუსშია", მე „პარმაში" ვარ და ერთმანეთს მინდორზე შევხვდებით, ჩვენი მიზანი სერია A-ში დარჩენაა, დანარჩენი მერე გამოჩნდება. ერთადერთი, რასაც ფანებს ვთხოვ, მოთმინებაა".

არგენტინელის პირველი გამოცდა მომავალ უქმეებზე „ლივორნოსთან" შედგება. შეგახსენებთ, რომ არგენტინელი 2001-03 წლებში „ინტერში" მუშაობდა. მან „ნერაძური" მესამე, შემდეგ კი მეორე ადგილზე გაიყვანა, ერთხელაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „მილანთან" დამარცხდა.

**გიორგი ძაძამიძე**

# ლემონისის ოლიმპიაკოსი მორჩა

**პირეოსის** „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელი პანაიოტის ლემონისი მოხსნეს. გუნდი საბერძნეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და ლიდერ „პანათინაიკოსს" ერთი ქულით ჩამორჩება. „ოლიმპიაკოსი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდა, მაგრამ „ჩელსისთან" ორი მატჩის ჯამში დამარცხდა (0:3). ლემონისის ადგილს სეზონის ბოლომდე მისი ესპანელი თანაშემწე ხოსე სეგურა დაიკავებს. „გადავწყვიტეთ, რომ სეზონის მნიშვნელოვან მომენტში რაღაც უნდა შეგვეცვალა და, როგორც წესი, ასეთ ვითარებაში მწვრთნელს ცვლიან" — განაცხადა კლუბის დირექტორმა პეტროს კოკალისმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ლიბერტადორესის თასი 2008

### I ჯგუფი. III ტური

**რეალ პოტოსი 2:3 სან ლორენსო**

1:0 ტარდიო (7), 2:0 პინტოსი (32), 2:1 რომეო (71), 2:2 ჩავესი (78), 2:3 ა. ტორესი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო (ბრაზილია) | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 7 |
| კარაკასი (ვენესუელა) | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| სან ლორენსო (არგენტინა) | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| რეალ პოტოსი (ბოლივია) | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

### IV ჯგუფი. III ტური

**სიენსიანო 1:0 კორონელ ბოლონეზი**

1:0 სოლისი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი (ურუგვაი) | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| სიენსიანო (პერუ) | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ფლამენგო (ბრაზილია) | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| კორონელ ბოლონეზი (პერუ) | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |

### VI ჯგუფი. III ტური

**გვადალახარა 0:1 კუკუტა დეპორტივო**

0:1 ურბანო (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კუკუტა დეპორტივო (კოლუმბია) | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| სანტოსი (ბრაზილია) | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| გვადალახარა (მექსიკა) | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| სან ხოსე (ბოლივია) | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

## ინგლისი

### ჩემპიონატი. XXXVIII ტური

სკანთორპი — პლიმუთი 1:0; ბარნსლი — იფსვიჩი 4:1; ბრისტოლი — უოტფორდი 0:0; ბარნლი — ჩარლტონი 1:0; კოლჩესტერი — უესდი 1:2; ნორვიჩი — სტოკი 0:1; პრესტონი — ვულვზი 2:1; შეფილდი — კოვენტრი 2:1; საუთჰემპტონი — ლესტერი 1:0; ქუინზ პარკი — ბლექპული 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრისტოლი | 38 | 18 | 13 | 7 | 45:42 | 67 |
| სტოკი | 38 | 18 | 12 | 8 | 61:49 | 66 |
| უოტფორდი | 37 | 17 | 12 | 8 | 57:43 | 63 |
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 18 | 7 | 10 | 71:42 | 61 |
| ჩარლტონი | 38 | 15 | 11 | 12 | 53:45 | 56 |
| ჰალი | 36 | 15 | 11 | 10 | 46:39 | 56 |
| პლიმუთი | 38 | 15 | 10 | 13 | 49:39 | 55 |
| ბარნლი | 38 | 14 | 13 | 11 | 51:49 | 55 |
| იფსვიჩი | 37 | 14 | 11 | 12 | 54:48 | 53 |
| კრ. პალასი | 37 | 13 | 14 | 10 | 41:36 | 53 |
| ვულვზი | 36 | 13 | 12 | 11 | 36:38 | 51 |
| ქუინზ პარკი | 38 | 12 | 12 | 14 | 50:54 | 48 |
| ბლექპული | 38 | 11 | 14 | 13 | 53:52 | 47 |
| შეფილდი | 37 | 11 | 14 | 12 | 39:41 | 47 |
| პრესტონი | 38 | 13 | 7 | 18 | 38:43 | 46 |
| ბარნსლი | 37 | 11 | 13 | 13 | 42:52 | 46 |
| ნორვიჩი | 38 | 12 | 10 | 16 | 35:46 | 46 |
| კარდიფი | 35 | 11 | 12 | 12 | 42:42 | 45 |
| საუთჰემპტონი | 38 | 11 | 12 | 15 | 49:61 | 45 |
| კოვენტრი | 37 | 12 | 7 | 18 | 39:52 | 43 |
| უესდი | 36 | 12 | 6 | 18 | 38:43 | 42 |
| ლესტერი | 38 | 9 | 14 | 15 | 34:35 | 41 |
| სკანთორპი | 37 | 9 | 11 | 17 | 35:53 | 38 |
| კოლჩესტერი | 37 | 6 | 14 | 17 | 49:63 | 32 |

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი

### გადადებული მატჩი

**ვენლო 0:2 ტვენტე**

0:1 დუგლასი (18), 0:2 ჰერსი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 27 | 18 | 5 | 4 | 57:22 | 59 |
| აიაქსი | 27 | 15 | 8 | 4 | 74:37 | 53 |
| გრონინგენი | 28 | 15 | 5 | 8 | 50:44 | 50 |
| ბრედა | 28 | 15 | 5 | 8 | 36:32 | 50 |
| ჰერენვენი | 28 | 14 | 6 | 8 | 71:35 | 48 |
| ფეიენოორდი | 27 | 14 | 6 | 7 | 49:30 | 48 |
| ტვენტე | 28 | 12 | 10 | 6 | 41:27 | 46 |
| როდა | 28 | 11 | 9 | 8 | 47:44 | 42 |
| ვიტესი | 28 | 11 | 6 | 11 | 36:44 | 39 |
| უტრეხტი | 28 | 11 | 5 | 12 | 52:48 | 38 |
| ნაიმეგენი | 28 | 9 | 6 | 13 | 37:46 | 33 |
| ალკმაარი | 27 | 8 | 7 | 12 | 39:46 | 31 |
| ჰერაკლესი | 28 | 8 | 6 | 14 | 32:54 | 30 |
| სპარტა | 28 | 7 | 6 | 15 | 41:62 | 27 |
| გრააფსხაპი | 28 | 7 | 5 | 16 | 30:55 | 26 |
| ვენლო | 28 | 6 | 8 | 14 | 35:61 | 26 |
| ტილბურგი | 28 | 6 | 6 | 16 | 30:36 | 24 |
| ექსელსიორი | 28 | 6 | 5 | 17 | 29:63 | 23 |

## გერმანია

### ბუნდესლიგა

### გადადებული მატჩი

**კოტბუსი 0:1 შტუტგარტი**

0:1 ფ. მეირა (30)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 23 | 14 | 8 | 1 | 41:11 | 50 |
| ვერდერი | 23 | 13 | 4 | 6 | 51:34 | 43 |
| ჰამბურგი | 23 | 11 | 9 | 3 | 34:17 | 42 |
| ლევერკუზენი | 23 | 12 | 5 | 6 | 41:23 | 41 |
| შალკე | 23 | 10 | 8 | 5 | 36:24 | 38 |
| შტუტგარტი | 23 | 12 | 1 | 10 | 39:38 | 37 |
| კარლსრუე | 23 | 10 | 6 | 7 | 29:31 | 36 |
| ვოლფსბურგი | 23 | 9 | 6 | 8 | 39:35 | 33 |
| აინტრახტი | 23 | 8 | 9 | 6 | 27:30 | 33 |
| ჰანოვერი | 23 | 9 | 5 | 9 | 33:39 | 32 |
| ჰერტა | 23 | 9 | 4 | 10 | 26:29 | 31 |
| ბოხუმი | 23 | 8 | 6 | 9 | 35:36 | 30 |
| დორტმუნდი | 23 | 8 | 5 | 10 | 35:39 | 29 |
| ჰანზა | 23 | 6 | 5 | 12 | 21:32 | 23 |
| არმინია | 23 | 5 | 4 | 14 | 21:47 | 19 |
| ნიურნბერგი | 23 | 4 | 6 | 13 | 24:36 | 18 |
| დუისბურგი | 23 | 5 | 3 | 15 | 23:37 | 18 |
| კოტბუსი | 23 | 3 | 8 | 12 | 23:40 | 17 |

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი

### გადადებული მატჩი

**ლანსი 1:2 ლილი**

0:1 ბასტოსი (17), 0:2 ბერია (83), 1:2 ილტონი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 28 | 18 | 4 | 6 | 55:26 | 58 |
| ბორდო | 28 | 15 | 7 | 6 | 48:30 | 52 |
| ნანსი | 28 | 12 | 12 | 4 | 31:18 | 48 |
| მარსელი | 28 | 12 | 9 | 7 | 39:28 | 45 |
| ლე მანი | 28 | 12 | 5 | 11 | 32:35 | 41 |
| ნიცა | 28 | 9 | 13 | 6 | 24:20 | 40 |
| ლორიანი | 28 | 9 | 11 | 8 | 23:27 | 38 |
| ვალანსიენი | 28 | 10 | 7 | 11 | 32:27 | 37 |
| მონაკო | 28 | 10 | 7 | 11 | 29:30 | 37 |
| რენი | 28 | 10 | 7 | 11 | 29:33 | 37 |
| ლილი | 28 | 7 | 15 | 6 | 28:24 | 36 |
| სენტ ეტიენი | 28 | 10 | 6 | 12 | 30:30 | 36 |
| კაენი | 28 | 9 | 9 | 10 | 29:36 | 36 |
| ოსერი | 28 | 10 | 6 | 12 | 25:35 | 36 |
| სტრასბური | 28 | 9 | 8 | 11 | 29:30 | 35 |
| ლანსი | 28 | 8 | 9 | 11 | 30:33 | 33 |
| პსჟ | 28 | 7 | 10 | 11 | 24:29 | 31 |
| სოშო | 28 | 7 | 10 | 11 | 25:33 | 31 |
| ტულუზი | 28 | 6 | 11 | 11 | 25:33 | 29 |
| მეცი | 28 | 4 | 6 | 18 | 19:49 | 18 |

## ჩილე

### აპერტურა. X ტური

**რეინჯერსი 1:4 სან მორინგი**

# ცრუ ნიკოლას კეიჯმა სამეფო მასხრად აიგდო



**რამონ კალდერონს** დღეს მთელი ევროპა იცნობს. თუმც „რეალის" პრეზიდენტს სახელი მადრიდელთა საფეხბურთო წარმატებების გამო კი არ გაუვარდა, არამედ იმიტომ, რომ ცრუ ნიკოლას კეიჯი ნამდვილში აერია და ჰოლივუდის ვარსკვლავის მავანი იტალიელი ორეული „სანტიაგო ბერნაბეუზე" მეფური პატივით მიიღო.

მსახიობმა და იმიტატორმა პაოლო კალაბრეზიმ თავისი მზაკვრული გეგმა „რეალი" — „რომას" საჩემპიონთალიგო მატჩისას განახორციელა. სამეფო თეთრები იტალიელებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდნენ, კალაბრეზიმ კი „ბერნაბეუს" ელიტაში ითევზავა და ანკესს ზორბა ნადავლიც წამოაგო. „ეს მაისურა რობინიოსია, ეს კი „ჩემი", ნახეთ — ნიკოლას კეიჯი აწერია" — ტრაბახობდა სამშობლოში დაბრუნებული მსახიობი ტელეკამერების წინ.

რამონ კალდერონის და მისი ბანაკის გაბრიყვება ლიგის მატჩამდე ერთი კვირით ადრე დაიწყო. მაშინ მადრიდის „რეალის" პრესსამსახურმა ფაქსით მიიღო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ჰოლივუდის ლეგენდა კეიჯი „რეალი" — „რომას" ჯახის სტადიონზე ყურების სურვილს გამოთქვამდა. მადრიდელები შეცდომაში იმანაც შეიყვანა, რომ „ნიკოლას კეიჯის" წარმომადგენლებმა იმ შუამავალი ფირმის ვინაობაც ახსენეს, რომელმაც ამასწინათ სილვესტერ სტალონეს ჩაყვანა გაახერხა „ბერნაბეუზე".

მოკლედ, მოსახდენი მოხდა — კალაბარეზი „სანტიაგო ბერნაბეუზე" ორი პირადი მცველის თანხლებით გამოცხადდა და მას უმალ სამეფო ლოჟაში მიუჩინეს ადგილი. ტაიმთაშორისის დროს კი ცრუ კეიჯთან (რამონ კალდერონი მიიჭრა (მსახიობის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა), გადაეხვია და „რეალის" მაისურა აჩუქა. გაიძვერასაც სხვა რა უნდოდა, მაისურა უმალ გადაიცვა და სენიორ კალდერონთანაც ხელიხელგადახვეულმა ფოტოკამერების წინ „ბერნაბეუზე" ვიზიტი უკვდავყო.

კალაბარეზის აფიორა ამით არ დასრულებულა. იტალიელმა მისი ნახვით აღფრთოვანებული რობინიოსგანაც იფეშქაშა მაისურა და მერე საკლუბო შარფიც მიიღო. იქ მყოფი ესპანელი ჟურნალისტები მერე კი ამბობდნენ, რაღაც უცნაური შევნიშნეთ „სენიორ კეიჯს", კალდერონთან და სხვებთან ხვევნა-კოცნისას აჭარხლებული, სიცილს ძლივს იკავებდა, თუმცა ასეთ ტყუილს ნაკლებად წარმოვიდგენდითო. ნამუსგარეცხილ კალაბარეზის კი იმის მარიფათიც ეყო, „რომას" მეოთხედფინალში გასვლის მერე დაძმარებულ კალდერონთან მგლოვიარე სახით მისულიყო და „რეალის" მარცხი მიესამძიმრებინა...

მთელ ამ წარმოდგენას დასასრულიც მაგარი ჰქონდა. მატჩის მერე გასახდელში „რეალის" ფეხბურთელებთან სურათის გადასაღებად ჩასული „კეიჯი" თანმიმდევრულ ფრანჩესკო ტოტის უნახავს და გაკვირვებულს უკითხავს, ამ აფერისტს მადრიდში რა უნდაო. გაირკვა, რომ კალაბარეზის მსგავსი თეატრი რომშიც და იტალიის სხვა ქალაქებშიც მოუწყვია და ტოტის კარგი ნაცნობიც ყოფილა თურმე იმიტატორმა: „რომას" კაპიტანს „რეალის" გასახდელში ნაცნობი კეიჯივით დაუბრიალა თვალი, გაკვირვებული ტოტი გაჩუმა და რამდენიმე დღის შემდეგ სამეფო გუნდის გაბითურების ამსახველი ქრონიკა იტალიის ტელევიზიის მეშვეობით გამოიტანა საშკარაოზე.

**ლადო ხომერიკი**



# დიეგოს ჩელსიმ მიაკითხა

**ფრენკ ლამპარდი** „ჩელსისთან" კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს და კლუბმაც მისი შემცვლელის ძიება დაიწყო. „სანის" ცნობით, „ჩელსი" უკვე დაუკავშირდა „ვერდერის" ბრაზილიელ დიეგოს, რომლის ფასიც 25 მილიონი გირვანქაა.

ლონდონური კლუბის „სამზარეულოში" ჩახედულმა პირმა „სანს" უთხრა: „ლამპარდი გუნდისთვის ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელია, მაგრამ, რაც უნდა უცნაური იყოს, მასთან კონტრაქტის გაგრძელება ვერ მოხერხდა. „ჩელსიში" კიდევ ერთი წელი დარჩა და როცა ხელშეკრულება ამოეწურება, თავისუფალი აგენტის სტატუსით წავა ისე, რომ კლუბს ერთი გირვანქაც არ ერგება. ამიტომაც უმიზნებს „ჩელსი" დიეგოს და მის დაბევებას ცდილობს".

ბრაზილიელმა „ვერდერის" შემადგენლობაში ერთი კვირის წინ „რეინჯერსთან" სტუმრად ითამაშა და ბევრი ევრობობოლა გუნდის სკაუტმა დაზვერა

შარშან ინგლის-ბრაზილიის ამხანაგურ მატჩში დიეგომ გოლი გაიტანა და ის შეხვედრა ფრედ დასრულდა. ბრაზილიელს „ვერდერთან" ხელშეკრულება 2011 წლამდე აკავშირებს, მაგრამ თუ „ჩელსისგან" სარფიანი წინადადება მიიღო, ალბათ უარს ვერ იტყვის.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პატოს მეორე ცდა

## დუნგამ რონალდინიო ივნისისთვის შეინახა

**ბრაზილიის** ნაკრების მწვრთნელმა კარლოს დუნგამ 18 წლის ალეშანდრე პატო შვედეთთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა. ეს შეხვედრა 26 მარტს ლონდონში გაიმართება. „მილანის" ფორვარდს ეროვნულ გუნდში არასოდეს უთამაშია და მისი დებიუტიც ალბათ ინგლისში შედგება.

ნაკრებს მიღმა დარჩა რონალდინიო. სამაგიეროდ, დუნგამ ოთხ ახალწვეულს უხმო, რომლებსაც აქამდე ეროვნული გუნდის მაისურა არ მოურგიათ.

პატო თებერვალში ირლანდიასთან ამხანაგურისთვისაც იყო გამოძახებული, მაგრამ ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

„ალეშანდრემ „მილანში" რამდენიმე მატჩში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ბრაზილიელ ქომაგებს ერთი სული აქვთ, როდის იხილავენ ნაკრებში. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ამ ბიჭს და ნელნელა შევაჩვიოთ გუნდს. ახალგაზრდა ფეხბურთელებს სტაბილურობა აკლიათ და მოფრთხილება სჭირდებათ" — თქვა დუნგამ, ხოლო რონალდინიოზე განაცხადა: „იგი ტრავმირებული იყო და ფორმაში ჯერ არ შესულა. უმჯობესია, რომ საბოლოოდ გამოკეთდეს და ივნისში დაგვეხმაროს, როცა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ექნება. ისიცაა, რომ ბრაზილიის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალება უნდა მივცეთ".

ბრაზილია ივნისში პარაგვაის ესტუმრება, მერე კი არგენტინას უმასპინძლებს. რაც შეეხება ახალწვეულებს, დუნგამ დიეგო ალვეში, ლეუ, ერნანდეშსი და ტიაგუ ნევეში გამოიძახა.

***მეკარეები:*** *დიეგო ალვეში (ალმერია, ესპანეთი), ჟულიო სეზარი (მილანი, იტალია);*

***მცველები:*** *დანიელ ალვეში (სევილია, ესპანეთი), ალექს კოშტა (ჩელსი, ინგლისი), ჟუანი (რომა, იტალია), ლუსიო (ბაიერნი, გერმანია), მარსელო (რეალი, ესპანეთი), რაფინია (შალკე, გერმანია), ლეუ (გრემიო);*

***ნახევარმცველები:*** *ჟილბერტო სილვა (არსენალი, ინგლისი), ერნანდეში (სან პაულუ), ჟოსუე (ვოლფსბურგი, გერმანია), კაკა (მილანი, იტალია), ლუკაშ ლეივა (ლივერპული, ინგლისი), რიშარილსონი (სან პაულუ), დიეგო (ვერდერი, გერმანია), ჟულიო ბაპტიშტა (რეალი, ესპანეთი);*


ალეშანდრე პატო

***თავდამსხმელები:*** *ალეშანდრე პატო (მილანი, იტალია), რაფაელ სობისი (ბეტისი, ესპანეთი), რობინიო (რეალი, ესპანეთი), ტიაგუ ნევეში (ფლუმინენსე), ლუიშ ფაბიანო (სევილია, ესპანეთი).*

**ვაჟა ხუციშვილი**

# აიმარმა რივერი უარყო



**პაბლო აიმარი** „რივერ პლეიტში“ დაბრუნებას არ აპირებს. არგენტინული გრანდის პრეზიდენტმა ხოსე მარია აგილარმა ორშაბათს განაცხადა, პაბლიტოს „მონუმენტალზე“ დაბრუნების დრო მოვიდა და ივნისში ამ ტრანსფერზე სერიოზულად ვიზრუნებთო. თუმცა „სარაგოსას“ ვარსკვლავი „ლა რომარედაზე“ დარჩენის მომხრეა, ყოველ შემთხვევაში, 2010 წლამდე მაინც. ანუ იქამდე, სანამ არაგონულ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდება.

„აგილარმა თქვა, რომ დრო მოვიდა, კვლავ ჩემი ძველი გუნდის, „რივერის“ ფორმა მოვირგო. არ ვიცი, პრეზიდენტმა ასე რატომ გადაწყვიტა, პირადად მე „სარაგოსასთან“ განშორებაზე ჯერ არ მიფიქრია. ამ კლუბთან კონტრაქტით კიდევ ორი წლით მიწევს თანამშრომლობა“ — აღნიშნა პაბლიტომ მედიასთან.

სენიორ აგილარი კი სულ სხვანაირად ფიქრობს. „მონუმენტალის“ გუნდის თავკაცი აცხადებს, რომ აიმარი 2001-ში წავიდა ევროპაში ბედის მოსასინჯად და ახლა მისი დაბრუნების დროა. „სამი წლის წინ „რივერ პლეიტში“ „იუვენტუსიდან“ მარსელო სალასი და „მონაკოდან“ მარსელო გალიარდო ჩამოვიყანეთ. პაბლოს დაბრუნება რატომ უნდა გაგვიჭირდეს?“— თქვა პრეზიდენტმა მავან არგენტინულ რადიოსთან ინტერვიუში.

საგონებელში ჩავარდნილი პაბლო აიმარი კი ამბობს, რომ აგილარს არც მისთვის და არც მისი აგენტისთვის ოფიციალურად არ მიუმართავს. „არავინ დაგვკავშირებია, არც „რივერ პლეიტიდან“ და არც რომელიმე სხვა არგენტინული კლუბიდან. თუმცა, რომც შემთავაზონ სამშობლოში დაბრუნება, ვეტყვი, „სარაგოსაში“ მირჩევნია-მეთქი“ — თქვა არგენტინელმა.

**ლადო ხომერიკი**




# ურიკელმეოდ რა იქნებაო

**ხუან რომან რიკელმე** და კარლოს ტევესი ნაკრების მწვრთნელმა ეგვიპტესთან ამხანაგური მატჩისთვის არ გამოიძახა. არგენტინელთა თავკაცმა ალფიო ბასილემ ეროვნული გუნდის კარი პირველად გაუღო „ბორდოს“ ფორვარდ ფერნანდო კავენაგის და „პორტუს“ თავდამსხმელ ლისანდრო ლოპესს. ეგვიპტე არგენტინას 26 მარტს კაიროში უმასპინძლებს.

ბასილემ განაცხადა, რომ აინტერესებს, თუ როგორ იქნება გუნდი ხუან რომან რიკელმეს გარეშე. „როცა რიკელმა არაა, ტაქტიკური სქემა საფუძვლიანად იცვლება — თქვა თავკაცმა — იგი ისეთი ფეხბურთელია, რომელზეც თამაში ეწყობა და მისი შეცვლა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ეგვიპტესთან უნდა გაირკვეს, რა შეუძლია გუნდს რიკელმეს გარეშე“.

კარლოს ტევესი ნოემბერში, კოლუმბიასთან წაგებულ მატჩში გააძევეს და ეკვადორთან მომდევნო საკვალიფიკაციო შეხვედრას (ივნისში) გამოტოვებს.

ეგვიპტემ თებერვალში აფრიკის ეროვნებათა თასი მოიგო და ალფიო ბასილემ განაცხადა, რომ ამხანაგური, მაგრამ ძალიან რთული მატჩი ელის. „აფრიკის თასის ზედიზედ ორჯერ მოგება უძნელესი საქმეა და ამიტომ ვფიქრობ, რომ ეგვიპტე სერიოზული მეტოქეა. მათ ხომ ბევრი ფავორიტი დაამარცხეს“.

**მეკარეები:** რობერტო აბონდანსიერი, ოსკარ უსტარი (ორივე — ხეტაფე, ესპანეთი), სერხიო რომერო (ალკმაარი, ჰოლანდია);

**მცველები:** ხავიერ ძანეტი, ნიკოლას ბურდისო (ორივე — ინტერი, იტალია), მარტინ დემიკელისი (ბაიერნი, გერმანია), გაბრიელ მილიტო (ბარსელონა), გაბრიელ ჰაინცე (რეალი, ესპანეთი), ფაბრიციო კოლოჩინი (დეპორტივო, ესპანეთი);

**ნახევარმცველები:** ესტებან კამბიასო (ინტერი, იტალია), ფერნანდო გაგო (რეალი, ესპანეთი), პაბლო საბალეტა (ესპანიოლი, ესპანეთი), ხავიერ მასკერანო (ლივერპული, ინგლისი), მაქსიმილიანო როდრიგესი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუის გონსალესი (პორტუ, პორტუგალია);

**თავდამსხმელები:** ხულიო კრუსი (ინტერი, იტალია), სერხიო აგერო (ატლეტიკო, ესპანეთი), ლისანდრო ლოპესი (პორტუ, პორტუგალია), ფერნანდო კავენაგი (ბორდო, საფრანგეთი), ესეკიელ ლავეცი (ნაპოლი, იტალია).

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლამურათა ფავორიტი



**„ვალენსიას“** სურს, გუნდი ახალი მეკარით გააძლიეროს. „ლამურათა“ ფავორიტი „ესპანიოლის“ ამჟამინდელი გოლკიპერი, კამერუნელი კარლოს კამენია. აფრიკელის სატრანსფერო ფასი 6 მილიონი ევროა. „მესტალიაზე“ თამაშის იდეა თავად კამენისაც ხიბლავს, თუმცა კარლოსის ხელში ჩაგდება მარტო ვალენსიელებს არ მონდომებიათ. ინგლისური „ტოტენჰემი“ მეკარესთან მოლაპარაკებას მართავს და თუ „ლამურები“ არ იჩქარებენ, შესაძლოა, კამენი მალე „უაით ჰართ ლეინზე“ ვიხილოთ. გარდა ამისა, აფრიკელ გოლკიპერთან თანამშრომლობა მადრიდულ „ატლეტიკოსაც“ სურს.

„ვალენსია“ ადრე ანდრეს პალოპის ყიდვას აპირებდა, თუმცა სევილიელთან გარიგება ჩაიშალა და ხუან ბაუტისტა სოლერის ბანაკმაც კამენისკენ გაიხედა. „ლამურათა“ ძველჩაუქი კანისარესი მწვრთნელმა კუმანმა გუნდიდან დაითხოვა, მეორე მეკარე ტიმო ჰილდებრანდთანაც არ აპირებენ მესტალიელები კონტრაქტის გაგრძელებას და ლუის მორასაც მალე უმთავრდება ხელშეკრულება. იყო ვარიანტი, „მესტალიაზე“ პსვ-ს მეკარე ეურელიო გომესი მისულიყო, მაგრამ „ვალენსიას“ 14 მილიონი ევროს გადახდა ეძვირა და სატრანსფერო სამიზნე კამენისკენ მიმართა.

**ლადო ხომერიკი**

# ფრანგი ესპანეთის მომხრეა



**უეფას** პრეზიდენტი მიშელ პლატინი იმედოვნებს, რომ მისი ფიფელი კოლეგა ზეპ ბლატერი ესპანეთის ნაკრებს და ესპანურ კლუბებს საერთაშორისო ტურნირებიდან არ მოკვეთს.

ფიფა და მისი პრეზიდენტი ესპანეთის მთავრობას ერთი თვის წინ დაემუქრნენ, ფეხბურთის ფედერაციის საქმეებში ცხვირის ჩაყოფისთვის ნაკრებს და კლუბებს საერთაშორისო შეჯიბრებებიდან მოვხსნითო.

ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი ხვალ, პარასკევს, შეიკრიბება ამ საკითხის განსახილველად და გამორიცხული არ არის, მუქარა შეასრულოს.

„ეს ფიფას პრეროგატივაა და გადაწყვეტილებაც თავად უნდა მიიღოს — თქვა პლატინიმ — მაგრამ ესპანეთი დიდი საფეხბურთო ქვეყანაა და ყველას გვსურს, რომ ევროპის ჩემპიონატს არ დააკლდეს. ვიმედოვნებ, რომ ვითარება განიმუხტება და ლუის არაგონესის ნაკრები ავსტრია-შვეიცარიაში ითამაშებს, თუმც გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, ფიფას ეკუთვნის“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კანს სექტემბერში გააცილებენ



**ოლივერ კანი** სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს, 2 სექტემბერს კი მის პატივსაცემად, „ალიანც-არენაზე“, გერმანიის ნაკრები და მიუნხენის „ბაიერნი“ ითამაშებენ. ეს იქნება საბენეფისო მატჩი 38 წლის მეკარისა, რომელიც ფეხბურთს გამოემშვიდობება. შეხვედრის ორგანიზება გერმანიის საფეხბურთო კავშირმა იკისრა.

„ოლივერ კანი დიდებული მეკარე და არაჩვეულებრივი პიროვნებაა — თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა თეო ცვანციგერმა — მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე საუკეთესოდ აღიარეს და ეს იყო მისი კარიერის უბრწყინვალესი მომენტი“.

„ბაიერნის“ მეკარეს ბუნდესლიგაში 548-ჯერ უთამაშია, ნაკრებში კი 86-ჯერ. ბოლოს ეროვნული გუნდის მაისურა 2006 წლის 8 ივლისს, პორტუგალიასთან მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ადგილისთვის მატჩში მოირგო. „ბაირნთან“ ერთად ჩემპიონთა თასი (2001), შვიდჯერ ბუნდესლიგა და ხუთჯერ გერმანიის თასი მოიგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბარსელონა: გადაიხადეთ 586 ევრო

## იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა

დაახლოებით ერთი თვის წინ „მანჩესტერ იუნაიტედის" საკლუბო მაღაზიის ფასები წარმოგიდგინეთ: რა ღირს მანჩესტერული სიმბოლიკიანი სუვენირები.

დღეს კიდევ ერთი უპოპულარულესი კლუბის „ბარსელონას" პრეისკურანტს გთავაზობთ და იმასაც მოგახსენებთ, რომ ამჟამად „ბარსას" საკლუბო მაღაზიებში ფასდაკლებაა და შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილ ნაწარმს უფრო იაფი ფასები აქვს მიწერილი, ვიდრე, ვთქვათ, ერთი თვის წინ ექნებოდა.

ისე, „მანჩესტერ იუნაიტედის" ასორტიმენტს „ბარსელონასას" თუ შევადარებთ, აშკარაა: მანჩესტერული არჩევანი გაცილებით უფრო დიდია.

ახლო მომავალში კი სხვა დიდი კლუბების სუვენირებს და მათ ფასებს გაგაცნობთ.



საგარეო მაისურა
60 ევრო


სათადარიგო მაისურა
45 ევრო


ბენდენა
7 ევრო


თმის სამაგრი
6 ევრო


სათადარიგო გეტრები
2 ევრო


საშინაო შორტი
23 ევრო


საგარეო გეტრები
15 ევრო


ბურთი
13 ევრო


საშინაო გეტრები
8 ევრო


სათადარიგო შორტი
8 ევრო


საგარეო შორტი
23 ევრო


ქუდი
18 ევრო


კაშნე
12 ევრო


საათი
105 ევრო


კეპი
13 ევრო


პოლო
41 ევრო


წვივსაფარი
23 ევრო



ბოთლი
5 ევრო


გამოსასვლელი მაისურა
30 ევრო


პოსტერი
4 ევრო


უსახელო მაისურა
30 ევრო



საშინაო მაისურა
60 ევრო



სავარჯიშო მაისურა
27 ევრო



ჭიქა
8 ევრო

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 21:15 | 1 | არსენალი-მიდლსბრო | 1.25 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.42 |
| 19:00 | 4 | დერბი-მანჩესტერი | 15.00 | 6.50 | 1.15 | 4.53 | 1.06 | 1.00 |
| 19:00 | 7 | ლივერპული-რედინგი | 1.25 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.53 |
| 19:00 | 9 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 2.35 | 3.20 | 2.90 | 1.35 | 1.29 | 1.52 |
| 19:00 | 10 | სანდერლენდი-ჩელსი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 19:00 | 12 | ვესტ ჰემი-ბლექბერნი | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 6 | ფულემი-ევერტონი | 3.50 | 3.20 | 2.05 | 1.67 | 1.29 | 1.24 |
| 20:00 | 8 | სიტი-ტოტენჰემი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 19:00 | 13 | უიგანი-ბოლტონი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 3 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| | | ინგლისი, ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 26 | იფსვიჩი-ჩარლტონი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 27 | ქპრ-სკანთორპი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 19:00 | 28 | შეფილდი-ნორვიჩი | 2.05 | 3.30 | 3.30 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 19:00 | 29 | უოტფორდი-სტოკი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 16:30 | 30 | ბლეკპული-პრესტონი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 31 | ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 19:00 | 32 | ბრისტოლი-პლიმუთი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 33 | ბარნლი-ვულვერჰემპტონი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 34 | კოლჩესტერი-კარდიფი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 19:00 | 35 | ქოვენთრი-უენსდი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 36 | კრისტალ პალასი-ბარნსლი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 49 | ლუტონი-ოლდემი | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 50 | მილუოლი-ლეიტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 51 | ნორთჰემპტონი-სუონსი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 19:00 | 52 | ნოტინგემი-უოლსოლი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 53 | პორტ ვეილი-ლიდსი | 4.20 | 3.30 | 1.80 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 19:00 | 54 | სუინდონი-კარლაილი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 19:00 | 55 | ბორნმუთი-იოვილი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 56 | ტრანმერი-ჰარტლპული | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 19:00 | 57 | ბრაიტონი-დონკასტერი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 58 | ჩელტენემი-როვერსი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 59 | ჯილინგემი-ქრიუ | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 60 | ჰადერსფილდი-საუთენდი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 73 | დონსი-დაგ ენდ რედი | 1.55 | 3.60 | 5.70 | 1.08 | 1.21 | 2.20 |
| 19:00 | 74 | მორიკომბი-ბრენტფორდი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 75 | პიტერბრო-ნოტსი | 1.40 | 4.20 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.55 |
| 19:00 | 77 | როტერჰემი-ჩესტერფილდი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 78 | ბარნეტი-ჩესტერი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 79 | რექსემი-ბერი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 80 | ბრედფორდი-მენსფილდი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 19:00 | 81 | დარლინგტონი-გრიმსბი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 19:00 | 82 | ჰერეფორდი-უიკომბი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 83 | ლინკოლნი-სტოკპორტი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 84 | მაკლსფილდი-შრიუსბერი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 76 | როჩდეილი-აკრინგტონი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 85 | სტივენეიჯი-კიდერმინსტერი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 87 | გრეისი-ალტრინჰემი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 19:00 | 88 | ბარტონი-ვეიმუთი | 1.50 | 3.80 | 5.70 | 1.07 | 1.18 | 2.27 |
| 19:00 | 89 | სტეფორდი-ოქსფორდი | 2.80 | 3.40 | 2.20 | 1.53 | 1.23 | 1.33 |
| 19:00 | 90 | სალისბერი-ფარსლი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 19:00 | 91 | ექსეტერი-დროილსდენი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 19:00 | 92 | კემბრიჯი-უოკინგი | 1.55 | 3.75 | 5.20 | 1.09 | 1.19 | 2.17 |
| 19:00 | 93 | ჰისტონი-რაშდენი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 19:00 | 94 | ნორთვიჩი-ქროული | 2.70 | 3.40 | 2.30 | 1.50 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 95 | ფორესტ გრინი-ჰალიფაქსი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 96 | აბერდინი-გრეტნა | 1.40 | 4.40 | 6.50 | 1.06 | 1.15 | 2.62 |
| 19:00 | 99 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 19:00 | 100 | ინვერნესი-ფოლკირკი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 16:30 | 101 | მოზერუელი-სელტიკი | 5.50 | 3.50 | 1.50 | 2.13 | 1.17 | 1.04 |
| 19:00 | 103 | სტ.მირენი-ჰართსი | 3.10 | 3.30 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 109 | მორტონი-პარტიკი | 2.45 | 3.40 | 2.40 | 1.42 | 1.21 | 1.40 |
| 19:00 | 110 | ქუინი-დანფერმლაინი | 1.90 | 3.40 | 3.30 | 1.21 | 1.20 | 1.67 |
| 19:00 | 111 | სტირლინგი-კლაიდი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 19:00 | 112 | ჰამილტონი-დანდი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 19:00 | 113 | ლივინგსტონი-სტ.ჯონსტონი | 2.75 | 3.40 | 2.20 | 1.52 | 1.22 | 1.33 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 114 | ბრეჩინი-ქუინზ პარკი | 1.60 | 3.60 | 4.50 | 1.10 | 1.18 | 2.00 |
| 19:00 | 115 | კოუდენბითი-ბერიკი | 1.50 | 3.80 | 5.00 | 1.07 | 1.15 | 2.15 |
| 19:00 | 116 | რეითი-ერდრი | 2.60 | 3.40 | 2.30 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 19:00 | 117 | ალოა-პიტერჰედი | 2.35 | 3.40 | 2.50 | 1.38 | 1.21 | 1.44 |
| 19:00 | 118 | ეარი-როსი | 4.20 | 3.60 | 1.65 | 1.93 | 1.18 | 1.13 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 119 | ისტ სტირლინგი-ისტ ფაიფი | 7.50 | 4.30 | 1.30 | 2.73 | 1.10 | 1.00 |
| 19:00 | 120 | ელგინი-დამბარტონი | 2.00 | 3.40 | 3.05 | 1.25 | 1.20 | 1.60 |
| 19:00 | 121 | ფორფარი-სტრანრარი | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 19:00 | 122 | ალბიონი-მონტროუზი | 2.70 | 3.40 | 2.20 | 1.50 | 1.21 | 1.33 |
| 19:00 | 123 | არბროთი-სტენჰაუზმური | 1.85 | 3.40 | 3.40 | 1.19 | 1.19 | 1.70 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 14 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 131 | შალკე-დუისბურგი | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 18:30 | 124 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 18:30 | 126 | ჰანზა-ჰერტა | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 18:30 | 127 | ჰანოვერი-არმინია | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 18:30 | 128 | კარლსრუე-აინტრახტი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 18:30 | 132 | ბოხუმი-შტუტგარტი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 18:30 | 133 | კოტბუსი -ბაიერნი | 9.00 | 4.00 | 1.35 | 2.76 | 1.17 | 1.00 |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 129 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 20:00 | 135 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1.55 | 3.60 | 5.70 | 1.08 | 1.21 | 2.20 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 136 | ოსნაბრიუკი-აუგსბურგი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 22:00 | 137 | ფრაიბურგი-კიოლნი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 22:00 | 138 | ჰოფენჰაიმი-აუე | 1.30 | 4.20 | 8.90 | 1.00 | 1.13 | 2.85 |
| 16:00 | 139 | ფიურტი-კობლენცი | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 16:00 | 140 | ოფენბახი-კარლ ცაისი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 16:00 | 141 | მიონხენგლადბახი-ზტ.პაული | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 16:00 | 142 | მიუნხენი 1860-მაინცი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 16:00 | 143 | პადერბორნი-ალემანია | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 16:00 | 144 | ვეენი-კაიზერსლაუტერნი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 163 | მატერსბურგი-რაპიდი | 2.40 | 3.25 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.44 |
| 21:00 | 165 | ტიროლი-ალტახი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 21:00 | 166 | შტურმი-რიდი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 21:00 | 167 | ზალცბურგი-ლინცერი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 21:00 | 168 | აუსტრია-აუსტრია კერნტენი | 1,35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 14 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 176 | იანგ ბოიზი-სტ.გალენი | 1.45 | 3.85 | 6.50 | 1.05 | 1.18 | 2.41 |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 20:45 | 178 | გრასჰოპერი-ლუცერნი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 20:45 | 179 | ქსამაქსი-თუნი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 180 | აარაუ-ციურიხი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 19:00 | 181 | სიონი-ბაზელი | 4.30 | 3.35 | 1.75 | 1.88 | 1.24 | 1.14 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 203 | უდინეზე-ლაციო | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 23:30 | 204 | რომა-მილანი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 195 | ინტერი-პალერმო | 1.40 | 3.70 | 8.50 | 1.01 | 1.20 | 2.57 |
| 18:00 | 197 | ლივორნო-პარმა | 2.25 | 2.80 | 3.30 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| 18:00 | 198 | რეჯინა-სიენა | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 18:00 | 199 | კალიარი-ტორინო | 2.40 | 3.00 | 2.80 | 1.33 | 1.29 | 1.44 |
| 18:00 | 200 | სამპდორია-კატანია | 1.55 | 3.20 | 6.70 | 1.04 | 1.25 | 2.16 |
| 18:00 | 201 | ატალანტა-ემპოლი | 1.80 | 3.00 | 4.60 | 1.12 | 1.29 | 1.81 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 202 | ფიორენტინა-ჯენოა | 1.60 | 3.30 | 5.80 | 1.07 | 1.25 | 2.10 |
| 23:30 | 205 | იუვენტუსი-ნაპოლი | 1.50 | 3.50 | 6.80 | 1.04 | 1.22 | 2.31 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 207 | ბოლონია-პიაჩენცა | 1.35 | 3.80 | 9.30 | 1.00 | 1.17 | 2.69 |
| 19:00 | 208 | ტრიესტინა-რავენა | 1.60 | 3.10 | 6.00 | 1.05 | 1.26 | 2.04 |
| 19:00 | 209 | აველინო-რიმინი | 2.65 | 2.85 | 2.65 | 1.37 | 1.32 | 1.37 |
| 19:00 | 210 | ვიჩენცა-ტრევიზო | 2.10 | 2.80 | 3.70 | 1.20 | 1.33 | 1.59 |
| 19:00 | 211 | პიზა-ალბინოლეფე | 2.35 | 2.80 | 3.10 | 1.27 | 1.33 | 1.47 |
| 19:00 | 212 | კიევო-ასკოლი | 1.55 | 3.20 | 6.50 | 1.04 | 1.25 | 2.14 |
| 19:00 | 213 | მანტოვა-ბრეშა | 2.55 | 2.80 | 2.80 | 1.33 | 1.33 | 1.39 |
| 19:00 | 214 | ბარი-ფროზინონე | 2.05 | 2.80 | 3.90 | 1.18 | 1.34 | 1.62 |
| 19:00 | 215 | მესინა-გროსეტო | 1.65 | 3.10 | 5.50 | 1.07 | 1.26 | 1.98 |
| 19:00 | 216 | სპეცია-ლეჩე | 4.00 | 2.90 | 1.95 | 1.68 | 1.31 | 1.16 |
| 19:00 | 217 | ჩეზენა-მოდენა | 2.50 | 2.80 | 2.90 | 1.32 | 1.34 | 1.42 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 243 | ბეტისი-ბილბაო | 2.10 | 3.25 | 3.20 | 1.27 | 1.26 | 1.61 |
| 23:00 | 245 | უელვა-მურსია | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:00 | 247 | დეპორტივო-რეალი | 3.70 | 3.20 | 1.90 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| 23:45 | 249 | ვალენსია-სევილია | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 236 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.25 | 4.70 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.29 |
| 20:00 | 238 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 22:00 | 240 | ალმერია-ბარსელონა | 5.20 | 3.30 | 1.65 | 2.01 | 1.25 | 1.10 |
| 20:00 | 242 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 20:00 | 244 | ხეტაფე-რასინგი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 20:00 | 246 | ესპანიოლი-მალიორკა | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 261 | ლილი-კაენი | 1.85 | 3.00 | 4.30 | 1.14 | 1.29 | 1.76 |
| 19:00 | 262 | მონაკო-ლიონი | 3.30 | 2.90 | 2.20 | 1.54 | 1.32 | 1.25 |
| 23:00 | 265 | სოშო-ნანსი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 23:00 | 267 | მეცი-ნიცა | 2.55 | 3.00 | 2.60 | 1.37 | 1.28 | 1.39 |
| 23:00 | 268 | ლე მანი-რენი | 2.05 | 3.00 | 3.45 | 1.21 | 1.28 | 1.60 |
| 23:00 | 271 | სტ.ეტიენი-ტულუზი | 1.80 | 3.10 | 4.30 | 1.13 | 1.26 | 1.80 |
| 23:00 | 272 | პსჟ-ვალენსიენი | 1.85 | 3.00 | 4.20 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 23:00 | 273 | ლორიანი-ოსერი | 2.10 | 2.90 | 3.45 | 1.21 | 1.30 | 1.57 |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 264 | ლანსი-მარსელი | 2.45 | 2.90 | 2.80 | 1.32 | 1.30 | 1.42 |
| 21:00 | 269 | ბორდო-სტრასბური | 1.50 | 3.50 | 6.20 | 1.04 | 1.20 | 2.23 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 284 | ლოკერენი-დენდერი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 23:00 | 285 | მეხელენი-გენკი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:00 | 286 | მუსკრონი-შარლერუა | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 23:00 | 287 | მონსი-ვარეგემი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 23:00 | 288 | სტ.ტრუიდენი-სერკლი | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 23:00 | 289 | ვესტერლო-გენტი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 23:00 | 290 | ანდერლეხტი-რუზელარე | 1.30 | 4.70 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.96 |
| 23:00 | 291 | ბრიუგე-ბრიუსელი | 1.20 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.67 |
| 23:00 | 293 | ბეერსხოტი-სტანდარდი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 305 | გრონინგენი-ჰერენვენი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 306 | ტვენტე-ვიტესი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 22:30 | 307 | გრააფსხაპი-ჰერაკლესი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 22:30 | 308 | ფეიენოორდი-ვენლო | 1.28 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.12 | 3.08 |
| 22:30 | 309 | ბრედა-ექსელსიორი | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 311 | უტრეხტი-ალკმაარი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 17:30 | 312 | აიაქსი-ტილბურგი | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 17:00 | 314 | ნაიმეგენი-სპარტა | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 17:00 | 315 | როდა-პსვ | 3.90 | 3.20 | 1.85 | 1.75 | 1.25 | 1.17 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 337 | ბოავიშტა-ამადორა | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 21:00 | 338 | ლეიშოეში-პორტუ | 7.00 | 3.50 | 1.50 | 2.33 | 1.23 | 1.04 |
| 21:00 | 340 | მარიტიმუ-ბენფიკა | 3.60 | 3.10 | 2.00 | 1.66 | 1.28 | 1.21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 342 | ფერეირა-სეტუბალი | 2.70 | 2.85 | 2.60 | 1.38 | 1.32 | 1.35 |
| 21:00 | 343 | ბრაგა-ნავალი | 1.65 | 3.25 | 5.20 | 1.09 | 1.25 | 2.00 |
| 21:00 | 344 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.50 | 3.60 | 6.40 | 1.05 | 1.21 | 2.30 |
| 21:00 | 345 | ლეირია-გიმარაეში | 3.60 | 3.10 | 2.00 | 1.66 | 1.28 | 1.21 |
| 21:00 | 347 | აკადემიკა-ბელენენსეში | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 14 მარტი | | | | | | |
| 14:00 | 376 | ტერეკი-კრილია | 2.10 | 2.80 | 3.50 | 1.20 | 1.31 | 1.55 |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 14:00 | 377 | ნალჩიკი-სატურნი | 2.65 | 2.80 | 2.65 | 1.36 | 1.32 | 1.36 |
| 14:00 | 378 | ცსკა-შინიკი | 1.30 | 4.10 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 2.90 |
| 14:00 | 379 | ხიმკი-ამკარი | 2.00 | 2.70 | 4.00 | 1.14 | 1.33 | 1.61 |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 14:00 | 380 | ტომსკი-დინამო | 2.45 | 2.80 | 2.85 | 1.30 | 1.31 | 1.41 |
| 14:00 | 381 | ლოკომოტივი-რუბინი | 1.60 | 3.20 | 5.50 | 1.06 | 1.23 | 2.02 |
| 14:00 | 382 | ენერგია-მოსკოვი | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 14:00 | 383 | ზენიტი-სპარტაკი | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 384 | იაგელონია-ზაგლებე ს | 1.70 | 3.25 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.88 |
| 20:00 | 385 | ლეგია-ზაგლებე ლ | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 20:00 | 386 | რუხი-ვიძევი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 20:00 | 387 | კრაკოვია-გურნიკი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 20:00 | 388 | პოლონია-კორონა | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.54 | 1.28 | 1.28 |
| 20:00 | 389 | ლეხი-ვისლა | 3.00 | 3.10 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| 20:00 | 390 | ოდრა-ბელხატუვი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 20:00 | 391 | ლოძი-გროცლინი | 4.20 | 3.20 | 1.75 | 1.81 | 1.23 | 1.13 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 392 | ბოლესლავი-სპარტა | 3.60 | 3.00 | 2.00 | 1.63 | 1.28 | 1.20 |
| 20:00 | 393 | ტეპლიცე-ზლინი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 20:00 | 394 | კლადნო-მოსტი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 20:00 | 395 | პლზენი-ლიბერეცი | 2.55 | 2.80 | 2.75 | 1.33 | 1.32 | 1.38 |
| 20:00 | 396 | იაბლონეცი-ბრნო | 2.65 | 2.80 | 2.65 | 1.36 | 1.32 | 1.36 |
| 20:00 | 397 | სიგმა-ბანიკი | 2.75 | 2.80 | 2.55 | 1.38 | 1.32 | 1.33 |
| 20:00 | 398 | ჟიჟკოვი-ბუდეიოვიცე | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 20:00 | 399 | სლავია-ბოჰემიანსი | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 400 | დუბნიცა-ჟილინა | 5.50 | 3.20 | 1.60 | 2.02 | 1.23 | 1.06 |
| 21:30 | 401 | ზლატე მორავცე-ტრენჩინი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 21:30 | 402 | ნიტრა-კოშიცე | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| 21:30 | 403 | ბ.ბისტრიცა-რუჟომბეროკი | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 21:30 | 404 | სინეცი-სლოვანი | 2.75 | 3.10 | 2.35 | 1.45 | 1.26 | 1.33 |
| 21:30 | 405 | ტრნავა-პეტრჟალკა | 2.85 | 2.90 | 2.40 | 1.43 | 1.30 | 1.31 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 409 | ოდენსე-ოლბორგი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 406 | ჰორსენსი-ორჰუსი | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 407 | ლიუნგბიუ-კოპენჰაგენი | 11.00 | 5.00 | 1.25 | 3.43 | 1.12 | 1.00 |
| 19:00 | 410 | ვიბორგი-ესბიერგი | 2.55 | 3.30 | 2.55 | 1.43 | 1.27 | 1.43 |
| 21:00 | 411 | ბრიონდბიუ-რანდერსი | 1.55 | 3.70 | 5.50 | 1.09 | 1.20 | 2.21 |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 408 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 1.65 | 3.70 | 4.55 | 1.14 | 1.21 | 2.04 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 301 | ვერდერი-რეინჯერსი | 1.55 | 3.75 | 5.50 | 1.09 | 1.20 | 2.22 |
| 23:45 | 302 | სპორტინგი-ბოლტონი | 1.70 | 3.40 | 4.85 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 16 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 723 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 6.00 | 3.60 | 1.60 | 2.25 | 1.26 | 1.10 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 23:10 | 710 | ლანუსი-დეპორტივო კ | 1.20 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.42 |
| 23:10 | 711 | ამერიკა-სან მარტინი | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 22:15 | 728 | ეფესი-პარტიზანი | 1.40 | 12.00 | 2.40 | 1.25 | 1.00 | 2.00 |
| 23:45 | 729 | პანათინაიკოსი-სიენა | 1.20 | 12.00 | 3.20 | 1.09 | 1.00 | 2.52 |
| 23:45 | 730 | რეალი-მაკაბი | 1.20 | 12.00 | 3.40 | 1.09 | 1.00 | 2.64 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10301 | ვერდერი-რეინჯერსი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10302 | სპორტინგი-ბოლტონი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11301 | ვერდერი-რეინჯერსი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11302 | სპორტინგი-ბოლტონი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12301 | ვერდერი-რეინჯერსი | 2.00 | 1.60 |
| 12302 | სპორტინგი-ბოლტონი | 1.60 | 2.00 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18301 | ვერდერი-რეინჯერსი | 2.60 | 1.35 |
| 18302 | სპორტინგი-ბოლტონი | 1.30 | 3.30 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14301 | ვერდერი-რეინჯერსი | 1.30 | 2.50 |
| 14302 | სპორტინგი-ბოლტონი | 1.45 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15301 | ვერდერი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15302 | სპორტინგი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17301 | ვერდერი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17302 | სპორტინგი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16301 | ვერდერი-რეინჯერსი | 1.17 | 4.10 |
| 16302 | სპორტინგი-ბოლტონი | 1.25 | 3.40 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კობი სტუმრად მტრებთან მიდის

11 მარტი

**ლეიკერსი 117:108 ტორონტო**

ლეიკერსი: ბრაიანტი (34 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), ოდომი (20), ფიშერი (18), გასოლი (12)
ტორონტო: ფორდი (28), პარკერი (21), ნესტეროვიჩი (18), ბარნანი (15)

**ჩიკაგო 108:96 იუტა**

ჩიკაგო: გუდენი (24 ქულა, 10 მოხსნა), გორდონი (19), დენგი (14)
იუტა: ოქური (22 ქულა, 18 მოხსნა), უილიამსი (20 ქულა, 10 პასი)

**ფინიქსი 132:111 მემფისი**

ფინიქსი: სტუდემაიერი (29 ქულა, 13 მოხსნა), ბელი (20), გირიჩეკი (18), ბარბოსა (18), ჰილი (17)
მემფისი: გაი (20), მილერი (12), მილიჩიჩი (18)

**მინესოტა 96:103 პორტლენდი**

მინესოტა: ჯეფერსონი (20 ქულა, 10 მოხსნა), მაკანტრი (18), გომესი (16), სმითი (15)
პორტლენდი: როი (27), ოლდრიჯი (20), ვებსტერი (19), ჯონსი (13)

**ვაშინგტონი 105:97 მილუოკი**

ვაშინგტონი: ჯემისონი (23), იანგი (22), ჰეივუდი (15), პლეტჩი (15)
მილუოკი: რედი (26), ვილანუევა (24 ქულა, 16 მოხსნა), ბოგუტი (23 ქულა, 18 მოხსნა)

**ინდიანა 114:107 სიეტლი**

ინდიანა: დანლივი (32), გრეინჯერი (23), მერფი (19)
სიეტლი: დურანტი (27), კოლისონი (15)

**კობი ბრაიანტმა** აისრულა, ან თითქმის აისრულა საწადელი. ჯერ შუა სეზონია, მაგრამ მისი „ლეიკერსი“ დასავლეთ კონფერენციას ლიდერობს და ასე ოპტიმისტური ტალღის ქიჩოზე მოქცეული მისრიალებს პლეი ოფისკენ. სამშაბათს „ლეიკერსმა“ ისარგებლა „სან ანტონიოს“ უქმობით და „ტორონტოს“ ძლევის შემდეგ ერთპიროვნულად გალიდერდა დასავლეთში, ოღონდ ამ დღეებში მძიმე გამოცდის ჩაბარება მოუწევს ამ გუნდის ოპტიმიზმს. პარასკევს ლოსანჯელესელები ოთხმატჩიან გასვლით ტურნეს იწყებენ. მიყოლებით ჩადიან „ნიუ ორლეანთან“, „ჰიუსტონთან“, „დალასთან“ და „იუტასთან“. ეს ოთხივე გუნდი „ლეიკერსის“ ქვემოთაა ჩასაფრებული და ერთიორად მონდომებს მის გამწარებას.

„დასავლეთში ისე ვერ გაისეირნებ, როგორც აღმოსავლეთში — ამბობს ბრაიანტი — იქ კი რამდენიც გინდა, იმდენი სუსტი გუნდია და ხეირიანად გაუხურებლადაც შეიძლება მოგება, მაგრამ აქეთ ყველა მტერია, ყველას ერთი სული აქვს, დაგამარცხოს და შენი ადგილი დაიკავოს“.

კიდევ ერთმა მძლავრმა დასავლელმაც მოგებით მოილია სამშაბათი საღამო — შაკილ ონილის შემატების შემდეგ „ფინიქსმა“ დაკარგა სისწრაფე და ბევრი გამარჯვება, მაგრამ დევშაკის სიმძიმის გამო ჩამუხლულსაც კი შესწევს იმის ძალა, რომ უხეირო „მემფისი“ ბამბის ქულასავით აიტაცოს. ლიგის ერთ-ერთ უსუსტეს გუნდთან „ფინიქსმა“ ძველებური შემტევი კალათბურთი შეუბერა და 48 წუთში 132 ქულა მოირეწა. „მემფისი“ იმდენად უკბილოდ ირჯებოდა, რომ „სანზი“ უკვე პირველ ტაიმში იგებდა 32 ქულას, მეორეში კი ერთი ხანობა 39 ქულითაც გაექცა. გუნდის ლიდერმა სტივ ნეშმა მხოლოდ 25 წუთი ითამაშა და 8 ქულას და 8 პასს დასჯერდა. შაკილ ონილმა კი მართალია, მხოლოდ 2 ქულა იკმარა 17 წუთში, მაგრამ 8 მოხსნა და მისთვის უჩვეულოდ ბევრი, 6 პასიც გაახერხა. ისე კი, ერთბაშად ხუთმა ფინიქსელმა აძგერა „მემფისს“ სულ ცოტა, 17 ქულა.

მოულოდნელად დამარცხდა კიდევ ერთი სოლიდური დასავლელი — „იუტას“ შინ აჯობა მიმდინარე სეზონში შესამჩნევლად შესუსტებულმა „ჩიკაგომ“, რომელსაც „კლივლენდიდან“ ახლახან გადაყვანილმა მოუხეშავმა დრიუ გუდენმა ულიდერა. „ჩვენ ყველანი დავიღალეთ ყოველდღიური ნეგატიური შეფასებებით და კრიტიკით“ — ამბობს ჩიკაგოელი ლუოლ დენგი — ჩვენ კიდევ შეგვიძლია პლეი ოფში მოსახვედრად ბრძოლა და ამ შანსის გამოუყენებლობას არავინ გვაპატიებს“.

პლეი ოფში მოხვედრის შანსი აღმოსავლეთის ბევრ გუნდს შერჩა. დრომოჭმული „მაიამის“ და გაზულუქებული „ნიუ იორკის“ გარდა ყველა მჭლე აღმოსავლელს აქვს რჩეულ რვეულში მოხვედრის შანსი და ისინიც კანტიკუნტი გამარჯვებებით ჯახირობენ. აგერ, „ინდიანამ“ საბავშვო ბაღად ქცეული „სიეტლი“ მოიხელთა და ძლივს მოუგო, რომელიც დაახლოებით იგივე წონის გუნდია, რაც ჩვენებური ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“. სიტყვამ მოიტანა და „ატლანტა“ წუხელ იმ „ჰიუსტონს“ უნდა შეხვედროდა, რომელმაც ზედიზედ 19 მეტოქეს მოუგო და დიდი შანსია, რომ ეს სერია 20-მდეც გაეზარდა.

**ივანე კობიაშვილი**



| ალმოსავლეთი | | | | დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ბოსტონი* | 50 | 12 | 80,6 | *ლეიკერსი* | 45 | 19 | 70,3 |
| *დეტროიტი* | 46 | 17 | 73,0 | *სან ანტონიო* | 44 | 19 | 69,8 |
| *ორლანდო* | 41 | 24 | 63,1 | ჰიუსტონი | 43 | 20 | 68,3 |
| კლივლენდი | 37 | 27 | 57,8 | *იუტა* | 42 | 23 | 64,6 |
| ტორონტო | 34 | 29 | 54,0 | ნიუ ორლეანი | 42 | 20 | 67,7 |
| ვაშინგტონი | 31 | 32 | 49,4 | ფინიქსი | 42 | 22 | 65,6 |
| ფილადელფია | 30 | 34 | 46,9 | დალასი | 41 | 23 | 64,1 |
| ატლანტა | 26 | 37 | 41,3 | გოლდენ სტეიტი | 39 | 23 | 62,9 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 38 | 40,6 | დენვერი | 37 | 26 | 58,7 |
| ჩიკაგო | 26 | 38 | 40,6 | პორტლენდი | 34 | 31 | 52,3 |
| ინდიანა | 25 | 39 | 39,1 | საკრამენტო | 28 | 35 | 44,4 |
| შარლოტი | 24 | 39 | 38,1 | კლიპერსი | 21 | 41 | 33,9 |
| მილუოკი | 23 | 41 | 35,9 | სიეტლი | 16 | 48 | 25,0 |
| ნიუ იორკი | 18 | 46 | 28,1 | მემფისი | 15 | 48 | 23,8 |
| მაიამი | 11 | 51 | 17,7 | მინესოტა | 14 | 49 | 22,2 |

*პირველ ოთხეულში გარანტირებული აქვს ადგილი სამი დივიზიონის სამ ლიდერს (აღნიშნულია დახრილი შრიფტით); მთავრული შრიფტით გამორჩეულები გავიდნენ პლეი ოფში*



# ტუროვი კიევს ტურასავით მიეპარა

## მარკოიშვილს გარჯა არ დაუფასდა

**მართალია,** საპასუხო მატჩი სათამაშო აქვს, მაგრამ უკვე შეიძლება, რომ „ბკ კიევი“ ულებ-ის თასიდან ჩამოვწეროთ. რა არ ხდება ქვეყანაზე და ისიც შესაძლებელია, რომ მანუჩარ მარკოიშვილის გუნდი რვათა ფინალში გაძვრეს, მაგრამ გასვლით მატჩში შინ წაგებული 12 ქულის ამოღება არარეალური ჩანს.

დიახ, ასეთი ცუდი ამბავი შეემთხვათ კიეველებს. ულებ-ის თასის მერვედფინალური ჯახის პირველ მატჩში უკრაინული კალათბურთის ლიდერმა პოლონეთის რიგით გუნდთან წააგო. სანამ კიევურ მატჩზე მოგითხრობთ, ვნახოთ, რა გუნდია „ტუროვი“.

პოლონეთის მყუდრო ქალაქ ზგორჟელეცში საკალათბურთო გუნდი 1948 წელს შეიქმნა და ისტორიაში ორი პოლონური ოქრო აქვს მოპოვებული — 1977 და 78 წლებში. მას მერე „ტუროვს“ ჩავარდნა ჰქონდა და პოლონეთის მეორე და მესამე დივიზიონებში ყურყუტებდა.

ელიტაში ზგორჟელეცელები 2003 წელს აღზევდნენ, მაგრამ პოლონური კალათბურთის ბობოლებს — „ანვილს“, „შლიონსკს“, „პროკომს“ — ვერ გადაახტნენ და ოთხეულში ერთხელაც ვერ შეძვრნენ. გასულ სეზონში „ტუროვმა“ მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა, მაგრამ სადებიუტო ევროსაგზური მაინც ერგო.

„ტუროვმა“ ულებ-ის თასის ჯგუფურ ეტაპზე ყველა გააოცა, ათიდან 8 თამაში მოიგო, პირველ ადგილზე გავიდა და ახლა რვათა ფინალის ზღვარზეა. ზგორჟელეცელები რომ კიეველებს იოლად არაფერს დაუთმობდნენ, ისედაც ცხადი იყო, მაგრამ თუკი უკრაინაშივე თითქმის გაარკვევდნენ ამ წყვილში გამარჯვებულს, ამას ცოტა თუ იფიქრებდა.

„ტუროვის“ მძლავრმა თამაშმა კიეველთა დამრიგებელს ეს მწარე მონოლოგი ათქმევინა: „მე მრცხვენია, რადგან ასეთ რამეს ჩემს ყველაზე მწარე ფიქრებშიც ვერ წარმოვიდგენდი. ჩვენ ყველაფერში დავიჩაგრეთ, პასებს ვერ ვაკეთებდით, ბურთებს ვერ ვაგდებდით და თამაშის ორგანიზება გვიჭირდა, რაც გამთამაშებლის საქმეა, მაგრამ თავი ვერ გაართვა. არადა, ვიცოდით, რომ მეტოქე მჭიდრო დაცვით გვეთამაშებოდა და 10 დღეც ვემზადებოდით, მაგრამ მოედანზე ყველაფერი აგვერია. ბოლო წუთზე შეგვეძლო, სხვაობა 6 ქულამდე შეგვემცირებინა, მაგრამ ისევ შეცდომები დავუშვით და საბოლოოდ 12 ქულით წავაგეთ“.

„ტუროვმა“ კიეველთა რბევა თავიდანვე დაიწყო, როცა 10:0 გალიდერდა და მასპინძელთა გაუთავებელ წვალებასაც აქედან დაედო სათავე. კიეველთაგან ჩვენებური მანუჩარ მარკოიშვილი კი ცდილობდა რაღაცას, მანუმ არაერთხელ გაიბრწყინა და კიეველები მცირედით მიაახლოვა პოლონელებს, მაგრამ დევიდ ლოგანი და ტომას კელატი იმ საღამოს შეუჩერებლები იყვნენ, რომლებმაც „ტუროვს“ გაამარჯვებინეს კიდეც.

მარკოიშვილმა საბოლოოდ 12 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა — მან ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 30 წუთი გაატარა. ის თავისიანთაგან მხოლოდ პუხ ჯეტერს ჩამორჩა, რომელმაც მარკოიშვილზე 3-ით მეტი, 15 ქულა მოიპოვა.

ერთადერთ ნუგეშად კიეველებს ის დარჩათ, რომ საპასუხო მატჩი რატომღაც არა პოლონეთში, არამედ ჩეხურ ლიბერეცში გაიმართება ერთი კვირის მერე.

**ირაკლი პერტაია**

**ულებ-ის თასი. მერვედფინალი. პირველი მატჩები**

**დინამო** (რუსეთი) **75:89 აკადემიკი** (ბულგარეთი)
**ბკ კიევი** (უკრაინა) **59:71 ტუროვი** (პოლონეთი)
**ბკ კიევი: მარკოიშვილი** (30 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 1 დაკარგვა)
**ხირონა** (ესპანეთი) **71:80 ჰემოფარმი** (სერბეთი)
**უნიქსი** (რუსეთი) **80:78 არტლენდი** (გერმანია)
**ხუვენტუდი** (ესპანეთი) **73:96 ხიმკი** (რუსეთი)
**ზადარი** (ხორვატია) **74:69 პამესა** (ესპანეთი)
**ბეშიქთაში** (თურქეთი) **80:80 ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი)
**გალათასარაი** (თურქეთი) **99:74 კანარია** (ესპანეთი)



# ბოლო იმედის კლუბი

## ზურაბ რურუას საქართველო უნდა

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებს წლების მანძილზე უამრავი პრობლემის ფონზე უწევს არსებობა. უაუზობა და უხელფასოდ თამაში ცოტა ხნით რომ დავივიწყოთ კიდეც, იმის უთქმელობა არ ეგების, ხშირად საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ფული წინადღითლა რომ გამოჩნდებოდა ხოლმე.

ბიჭები ამიტომაც ამბობენ გულდაწყვეტით, ქვეყნის სიყვარული და ჯიგარი გვათამაშებს, თორემ ასე არსებობა მართლაც შეუძლებელიაო.

უკვე 5 წელია, ნაკრების კაპიტანი და მთავარი დამრტყმელი ძალა 20 წლის ზურაბ რურუაა, რომელსაც გუშინ ვესაუბრეთ, ძველი ამბები გავახსენებინეთ და სამომავლო გეგმებზეც ვკითხეთ. თავიდან კი ახლახან ჩამთავრებულ უკრაინის ღია პირველობის მესამე ტურზე ჩამოვარდა საუბარი...

— დნეპროპეტროვსკის გუნდთან საერთოდ პრობლემა არ შეგვქმნია, ისე მოვუგეთ. ბელარუსის ნაკრებთან შედარებით რთული თამაში იყო, მაგრამ არც აქ გაგვიჭირდა, თან იმათაც ჩვენსავით შესუსტებული შემადგენლობა ჰყავდათ. მთავარი ბრძოლა მარიუპოლის გუნდთან იყო. ამდენი წელია, მაგათ ვეთამაშებით და ტოლ-სწორად სულ 3-4-ჯერ გამოგვივიდა. ახლაც ასე იყო, მაგრამ დავუდექით, თავიდანვე საჩვენოდ დავიწყეთ და მოვიგებდით კიდეც, სრული შემადგენლობით რომ ვყოფილიყავით. მოტივირებულებიც ვიყავით, ბოლოს და ბოლოს, ამ გუნდს ხომ უნდა მოვუგოთ, მაგრამ ხალხი დაგვაკლდა...

— 5 წელია, უკრაინის პირველობაში თამაშობთ, საერთო დონემ მოიმატა, თუ პირიქით?

— მთლიანობაში, ალბათ მოიმატა, მაგრამ რა არის იცით, მაშინ რომ ვთამაშობდით, 15-16 წლის ბიჭები ვიყავით და ის გუნდები დაუმარცხებელი გვეგონა, ახლა კიდევ სიტუაცია შეიცვალა, აქეთ ვამარცხებთ. ყველაზე ძლიერი მარიუპოლია, თუმც ბოლო პერიოდში ისიც დასუსტდა, ლეგიონერები გაუშვა.

— თამაშის წინ ბიჭებს, როგორც კაპიტანი, როგორ მოძღვრავ?

— წყალში რომ ჩავდივართ, წრეს ვაკეთებთ, მე მითითებებს ვიძლევი და ერთად ვყვირით — „საქართველო!" მონდომება და ჯიგრიანი თამაში გვაგებინებს, თორემ ისე გაგვიჭირდებოდა.

— ერთი ხანობა მოსკოვის ცსკაში თამაშობდი, რატომ წამოხვედი?

— სეზონნახევარი ვიყავი. თავიდან ცოტას მათამაშებდნენ, მერე ნელ-ნელა ძირითად შემადგენლობას გავუშინაურდი და ბოლოს, ამ მხრივ, პრობლემა არ მქონდა. თუმც პირობებზე ვერ შევთანხმდით, პოლიტიკური სიტუაციაც დაიძაბა და წამოვედი. არადა, რომ დავრჩენილიყავი, გაზრდის საშუალება მექნებოდა, რუსეთს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ლიგა აქვს. ახლაც შეიძლებოდა წასვლა, მაგრამ რუსებმა ლიმიტი შემოიღეს, ერთ გუნდს ერთი ლეგიონერის ყოლის უფლება აქვს. იქ ისეთი სიტუაციაა, რომ ძალიან მაგარი წყალბურთელები ჰყავთ. ამ ლიმიტის გამო ვერც ხორვატიაში მოვეწყვე. „დუბროვნიკში" სექტემბერში ჩავედი, გუნდი წინა წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული იყო, მოვეწონე მწვრთნელებს, მაგრამ ვერ ჩამსვეს განაცხადში ლიმიტის გამო. „მედვეჟაკში" გამიშვეს და იქ ცუდი პირობები დამხვდა.

— ახლა რას აპირებ, კლუბი თუ არ შეიქმნა, წახვალ?

— მინდა, რომ ვისწავლო და ფორმაც შევინარჩუნო, იქნებ მერე კლუბიც გაკეთდეს. ეს თუ არ მოხდა, სასწავლებელს დავამთავრებ და წავალ. არადა, ელემენტარულ პირობებს ვითხოვთ. ერთი ფეხბურთელის წლიური საშუალო ხელფასი მთელ ჩვენს კლუბს ეყოფა. ვინც საზღვარგარეთ არის, ისინიც ჩამოვლენ. ერთად შევთამაშდებით და უფრო დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. ამის პოტენციალი გვაქვს. სხვანაირად, წყალბურთი დაილუპება. ჩვენი მომდევნო თაობა არ ჩანს. გული გვწყდება, არ გვინდა, ასე მოხდეს.

— წყალბურთელებიდან გამორჩევით ვინ მოგწონს?

— ჩემთვის სამაგალითო წყალბურთელი რევაზ ჩომახიძეა. რამდენსაც მიაღწია, ყველამ იცის. მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეც იყო. მოსკოვში რომ ვიყავი, ყოველთვის გვერდით მედგა და მარიგებდა.

**ლექსო მაისურაძე**



# უილკინსონს სიპრიანი არჩიეს

## ჯონი კი მუზებს უწყრება

**დამდეგ** შაბათს ექვს ერზე ბოლო, მეხუთე ტურის მატჩები გაიმართება. ინგლისის ნაკრები შოტლანდიასთან წაგების შემდეგ შინ ირლანდიას დაუხვდება. ბრაიან ეშტონმა გუნდში მხოლოდ ერთი ცვლილება მოახდინა — მან სათადარიგოთა სკამზე გაამწესა მსოფლიოს საუკეთესო მექულე ჯონი უილკინსონი და მის მაგივრად სასტარტოში 20 წლის დენი სიპრიანი დააყენა.



— მართალი გითხრათ, გული დამწყდა, მაგრამ მე ჩემს შანსს კიდევ დაველოდები — თქვა უილკინსონმა და შემდეგ დასძინა — რა თქმა უნდა, საუკეთესო როლი არ მერგო, მაგრამ რაც ეს ამბავი გავიგე, მას მერე უფრო მეტად მწადია ვარჯიში. ექვს ერზე შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოვამჟღავნე. იყო თამაშები, მაგალითად, საფრანგეთთან და იტალიასთან, სადაც ჩემმა მუზამ გაბრწყინების საშუალება არ მომცა. ახლა კი მწვრთნელმა გადაწყვეტილება მიიღო და მე, როგორც პროფესიონალი, ამას გაგებით უნდა მოვეკიდო. ვარჯიშების შემდეგ ყოველთვის შევდივარ სატრენაჟორო დარბაზში და დამატებით ვიტვირთები. ახლა 28 წლის ვარ და ყველაზე ძალიან იმ დღეების მეშინია, როცა ამ ყველაფერს ველარ შევძლებ, ჩემთვის ხომ ნაკრების მაისურით თამაში უდიდესი სიამოვნებაა.

ბრაიან ეშტონმაც გააკეთა განცხადება ვილკოსთან დაკავშირებით.

— უილკინსონი გუნდის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია. იგი ღირსეულად შეხვდა ამ გადაწყვეტილებას. ჯონი ისეთი სარგებლიანი აღარაა ნაკრებისთვის, როგორც თუნდაც მსოფლიოს თასის ბოლო შეხვედრებში იყო. საგანგაშო არაფერი მომხდარა. ნაკრების ყველა მორაგბე თანასწორია. ეს მწვრთნელის ერთ-ერთი ჩვეულებრივი გადაწყვეტილებაა. უილკინსონი სათადარიგოთა შორის დაიწყებს შეხვედრას. არავინ იცის, მატჩში რა მოხდება. შეიძლება, ის პირველივე ტაიმში შევიდეს მოედანზე.

**ზურაბ მიგრიაული**

# მამალი გამოცდილი სჯობს

**საფრანგეთის** ნაკრების მწვრთნელმა მარკ ლივერმონმა ჩვეული ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავა და უელსთან გადამწყვეტი შეხვედრისთვის ისევ ათასგზის გამოცდილი მობურთალები იხმო. მან ნაკრებში ჟან-ბატისტ ელისალდე, სედრიკ ემონსი, ტიერი დუზატუა, ელივის ვერმიულენი და დევიდ სკრელა დააბრუნა. განაცხადს გარეთ დარჩნენ იტალიასთან ნათამაშები ლუი პიკამოლე, ვილჰელმ გუირადო და ჟულიენ ტომასი. იბრაჰიმ დიარა და იან დევიდი „სკუადრა აძურასთან" დაშავდნენ და ამიტომ არ არიან საუელსო შემადგენლობაში. ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ ვინ დაიწყებს ნახევარდაცვაში თამაშს, ელისალდე-სკრელას თუ იაშვილი-ტინ დიუს ტანდემი. მოკლედ, საფრანგეთი უელსს გამოცდილი გვარდიით დაატყდება თავს და შეეცდება, ოცქულიანი მოგება გამოადნოს.



ჟან-ბატისტ ელისალდე ნაკრებში დაბრუნდა

**ზურაბ მიგრიაული**



# ასპროცენტიანი ქართველები

**ოთხ** ორთაბრძოლაში ოთხი მოგება — ასეთია ქართველი სუმოისტების, ლევან ცაგურიასა და ლევან გორგოძის მონაგარი მარტის ბაშოს ოთხი დღის შემდეგ.

სეზონის მეორე სუპერტურნირი ქართველმა გო-



ლიათებმა, მართლაც კარგად დაიწყეს და ისინი, შესაბამისად, უმაღლეს დივიზიონ მაკუჩისა და ქვედას, ძურიოს ლიდერობენ.

კოკაიდ წოდებულმა ცაგურიამ გუშინ მასზე რანგით ერთი საფეხურით დაბლა მყოფი, დასავლეთის მეექვსე მაეგაშირა დეჯიმა დაჯაბნა და იმ ექვს სეკიტორს შორისაა, წაუგებლად რომ დაჰყურებს მაღლიდან მაკუჩის დივიზიონს.

კოკაის გარდა, ამ ჯგუფში არიან იოკოძუნა ასასორიუ და ჩვენებურის მსგავსად, რიგითი მაეგაშირები — ოცუკაძა, ტოჩიოძანი, ჰოკუტორიკი და ჰომასიუ.

გუშინ მოულოდნელად დამარცხდა ბოლო ბაშოების ტრიუმფატორი, იოკოძუნა ჰაკუჰო, ვისაც აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა ამინიშიკიმ მოუგო.

ძურიოს დივიზიონში კი წაუგებლად კვლავაც სამნი არიან — ტოჩინოშინად წოდებული გორგოძე, რომელმაც გუშინ კორიუ დაჯაბნა, კიმუსაიამა და ტოსანოუმი.

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# უილიამსის მიზანი: მუდმივი პროგრესი



**ერთი** დღეც და მელბურნის „ალბერტ პარკის“ ავტოდრომზე მორიგი საპირველფორმულო სეზონი დაიწყება. ახალი ჩემპიონატის პირველი სარბოლო უიქენდის მთავარი ამბები, ბუნებრივია, კვირას, უშუალოდ ავსტრალიური „დიდი პრიზის“ გათამაშებისას იქნება, მაგრამ საკვირაო საქმეს პარასკევსა და შაბათს ეყრება საფუძველი და უკვე ხვალიდან, „სამეფო რბოლების“ პულსი მაქსიმუმამდე აჩქარდება.

საყოველთაო პროგნოზებით, სეზონის მთავარი ფავორიტი „ფერარია“ და „სკუდერიას“ ოდენ „მაკლარენი“ თუ გაუწევს კონკურენციას. ამ ორი ვეშაპის უკან კი რამდენიმე ამბიციური გუნდია, რომლებიც მესამეობაზე აცხადებენ პრეტენზიას და მათ შორის გახლავთ ფორმულა I-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი საჯინიბო, სერ ფრენკ უილიამსის „უილიამს-ტოიოტა“.

„უილიამსის“ ღირსებას წლეულს პირველი ფორმულის ძველი ჩემპიონის, ფინელი კეკე როსბერგის ვაჟი, გაგერმანელებული ნიკო როსბერგი და იაპონელი კაძუკი ნაკაჯიმა დაიცავენ. როსბერგი, უკვე მესამე წელია, „სამეფო რბოლების“ და „უილიამსის“ სამყაროშია, ხოლო ნაკაჯიმა პირველ სრულფასოვან სეზონს ჩაატარებს. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, იაპონელის საპირველფორმულო გამოცდილება ერთადერთი, შარშანდელი ჩემპიონატის ბოლო, ბრაზილიური „დიდი პრიზით“ გამოიხატება.

როსბერგიცა და ნაკაჯიმაც მოუთმენლად ელიან სეზონის დაწყებას და თვლიან, რომ „უილიამსს“ ძალუძს მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა, მით უმეტეს, რომ წლევანდელი სეზონი მათი გუნდისთვის ბევრი რამით საიუბილეო იქნება — „უილიამსი“ 30-ე სეზონს ატარებს „სამეფო რბოლებში“ და ჩემპიონატის მსვლელობისას გუნდს მე-500 „დიდი პრიზი“ და 50 000-ე წრის გავლა ელის.

„დიდებულია, რომ გუნდი ერთ წელიწადში ამდენ ღირსშესანიშნავ იუბილეს აღნიშნავს. „უილიამსმა“ სამი ათეული წლის მანძილზე ძალზე ბევრს მიაღწია და ბედნიერი ვარ, რომ მის ნაწილად ვთვლი თავს“ — განაცხადა როსბერგმა და მას მხარი ნაკაჯიმამაც აუბა: „უილიამსი“ წარმატებული ისტორიის მქონე დიადი გუნდია. მოხარული ვარ, რომ ჩემი საპირველფორმულო კარიერა სწორედ ამ საჯინიბოში იწყება. როგორც პილოტმა, შემიძლია, ხაზგასმით ვთქვა, რომ „უილიამსი“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია“.

ნაკაჯიმამ სეზონთაშორის პერიოდში გაწეულ სამუშაოსა და მომავალ ჩემპიონატზეც ისაუბრა: „ზამთრის ტესტების დროს გუნდის ინჟინრებთან ერთად უზარმაზარი სამუშაო ჩავატარეთ. ყველაფერი კარგად მიდის და ვგრძნობთ, რომ მუდმივი პროგრესის გზას ვადგავართ. მიუხედავად ამისა, წლეულს ძალზე ძნელი იქნება „ფერარისა“ და „მაკლარენისთვის“ კონკურენციის გაწევა. ისინი ყველაზე წინ არიან და შემდეგ კი რამდენიმე გუნდი ერთმანეთის სიახლოვეს არის. მათ შორის ვართ ჩვენც და მესამე ადგილისთვის არნახული ბრძოლა გაჩაღდება“.

რაც შეეხება პირად გეგმებს, ნაკაჯიმა მიიჩნევს, რომ რადგანაც წლევანდელი სეზონი მისთვის სადებიუტოა, გამოცდილება უნდა დააგროვოს და რბოლებისგან სიამოვნება მიიღოს: „ძალზე ძნელია წინასწარ შედეგის დაგეგმვა. ბუნებრივია, ყველაფერს გავაკეთებ, რათა მაღალი ადგილები დავიკავო, მაგრამ პირველ ფორმულაში პირველივე ცდაზე წარმატების მიღწევა ძალზე ძნელია. ამიტომაც საკუთარ თავს ერთ მიზანს ვუსახავ — ვიყო მუდმივად პროგრესის გზაზე და დავტკბე რბოლებით“.

თავისი იაპონელი პარტნიორით ძალიან კმაყოფილია როსბერგი, რომელიც ნაკაჯიმას გუნდში ადაპტაციაში ეხმარება. „ჩვენ შესანიშნავად გავუგეთ ერთმანეთს. ის კარგი ბიჭია და რაც მთავარია, ძალიან სწრაფია — ბრძანა ნიკომ და დაამატა — ჩვენი უპირველესი მიზანია, გავაგრძელოთ პროგრესი და შარშანდელზე წინ წავიდეთ. „უილიამსის“ უმთავრესი სიმიზნე ყოველთვის „კონსტრუქტორთა თასი“ იყო და ჩვენც ამისკენ ვისწრაფვით. იმედია, ორ-სამ წელიწადში მიზანსაც მივაღწევთ.

**ქახა ლომაძე**



# სტეეგმანსის დუბლი



**სეზონის** პირველი მნიშვნელოვანი მრავალდღიანი ველორბოლა, რიგით 66-ე „პარიზი-ნიცა“, კვლავაც წვიმის აკომპანიმენტით გრძელდება. უამინდობამ რბოლის ორგანიზატორებს პირველი ეტაპის სიგრძე ორჯერ ხომ შეამცირებინა და მეორე ეტაპმაც წვიმასა და ნისლში ჩაიარა, ოღონდაც, ამჯერად დისტანციის დამოკლება საჭირო არ გამხდარა. ისევე, როგორც წინა დღეს, ეტაპის გამარჯვებულის ვინაობა ამ ჯერზეც ზედ ფინიშზე გაირკვა, თუმც მანამდე გვარიანი ზედახორა იყო და რამდენიმე მრბოლი სერიოზულად დაშავდა.

საფინიშო სპურტი პირველმა, პროლოგის მომგებმა და გენერალური კლასიფიკაციის ნორვეგიელმა ლიდერმა ტორ ჰუსჰოვდმა წამოიწყო, მაგრამ ძალა ბოლომდე აღარ ეყო და პირველობა კვლავ „ქვიკ სტეპის“ ბელგიელ გერტ სტეეგმანსს დარჩა, რომელმაც ევერიდან ბოლევილამდე გაჭიმული 201 კილომეტრის გავლას 5 საათი, 29 წუთი და 47 წამი მოანდომა.

ჰუსჰოვდი მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო მესამეზე „კოფიდისის“ ფრანგი სილვენ შავანელი გავიდა. მიუხედავად ზედიზედ მეორე გამარჯვებისა, სტეეგმანსმა საერთო ჩათვლაში მაინც ვერ შეძლო ჰუსჰოვდის გასწრება. ლიდერის ყვითელი მაისურა კვლავაც „კრედიტ აგრიკოლის“ მრბოლს აცვია, თუმცაღა სტეეგმანსს, ოდენ 3 წამითღა უსწრებს. მესამეზე ფრანგი ჟერომ პანოა, ვინც ჰუსჰოვდს 23 წამით ჩამორჩება.



# რეგულარული ჩემპიონატი

## 11 მარტი

**ატლანტა 2:5 კოლორადო**
*1:2 0:3 1:0*
0:1 ბრიუნე (5), 0:2 საკიკი (8), 1:2 არმსტრონგი (10), 1:3 ჰიუდიკი (21), 1:4 ჯონსი (30), 1:5 ბრიუნე (38), 2:5 კრისტენსენი (44)

**ოტავა 4:1 ბოსტონი**
*0:0 3:0 1:1*
1:0 ჰიტლი (26), 2:0 ჰიტლი (32), 3:0 სპეცა (38), 3:1 ვაიდმენი (58), 4:1 ჰიტლი (60)

**მონრეალი 4:0 ნიუ ჯერსი**
*2:0 1:0 1:0*
1:0 სმოლინსკი (5), 2:0 კოივუ (19), 3:0 ლაპიერი (35), 4:0 რაიდერი (58)

**ტამპა 8:4 აილენდერსი**
*2:1 2:1 4:2*
1:0 უელე (7), 2:0 ლეკავალიე (13), 2:1 გერინი (18), 2:2 ფედოტენკო (25), 3:2 ჰელპერნი (29), 4:2 ტარნასკი (35), 5:2 ლეკავალიე (45), 5:3 უოლტერი (51), 6:3 ლეკავალიე (58), 7:3 უელე (59), 8:3 უორდი (59), 8:4 კომრი (60)

**დეტროიტი 3:1 [illegible]**
*1:1 1:0 1:0*
1:0 მოლტბი (9), 1:1 ბურკი (11), 2:1 დაციუკი (36), 3:1 ფრენცენი (60)

**ტორონტო 4:3 ფილადელფია**
*0:1 0:1 3:1 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 ეპშოლი (14), 0:2 კობერნი (40), 0:3 ბრიარი (42), 1:3 სუნდინი (45), 2:3 კუბინა (54), 3:3 უილიამსი (57), 4:3 კუბინა (65)

**ნეშვილი 1:2 სან ხოსე**
*0:0 0:1 1:1*
0:1 პაველსკი (36), 0:2 მიხალეკი (41), 1:2 არნოტი (46)

**ედმონტონი 4:3 სენტ ლუისი**
*3:1 0:2 0:0 1:0 (ოვერტაიმში)*
1:0 სტორტინი (3), 2:0 სტოლი (8), 3:0 განიე (9), 3:1 მაკდონალდი (18), 3:2 სტემპნიაკი (21), 3:3 ბოისი (32), 4:3 კოლიანო (65)

**ფინიქსი 3:2 ანაჰაიმი**
*0:1 1:1 1:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*
0:1 მარჩანტი (19), 0:2 გეცლაფი (28), 1:2 დოუნი (37), 2:2 იანდლი (52)

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონრეალი | 71 | 39 | 23 | 9 | 227:197 | 87 |
| ნიუ ჯერსი | 70 | 40 | 24 | 6 | 180:163 | 86 |
| კაროლინა | 71 | 37 | 29 | 5 | 216:221 | 79 |
| პიტსბურგი | 70 | 39 | 24 | 7 | 206:192 | 85 |
| ოტავა | 71 | 39 | 25 | 7 | 227:210 | 85 |
| რეინჯერსი | 70 | 37 | 24 | 9 | 186:171 | 83 |
| ბოსტონი | 70 | 36 | 26 | 8 | 184:195 | 80 |
| ფილადელფია | 70 | 35 | 26 | 9 | 215:201 | 79 |
| ბუფალო | 70 | 32 | 27 | 11 | 211:204 | 75 |
| ვაშინგტონი | 70 | 32 | 30 | 8 | 203:209 | 72 |
| ფლორიდა | 71 | 32 | 31 | 8 | 190:200 | 72 |
| ტორონტო | 71 | 31 | 30 | 10 | 200:219 | 72 |
| აილენდერსი | 71 | 32 | 32 | 7 | 174:212 | 71 |
| ატლანტა | 71 | 30 | 33 | 8 | 188:235 | 68 |
| ტამპა | 70 | 27 | 35 | 8 | 197:229 | 62 |

| დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 70 | 46 | 18 | 6 | 220:155 | 98 |
| სან ხოსე | 70 | 41 | 21 | 8 | 187:166 | 90 |
| კალგარი | 69 | 36 | 23 | 10 | 195:190 | 82 |
| დალასი | 72 | 42 | 25 | 5 | 212:176 | 89 |
| ანაჰაიმი | 72 | 39 | 25 | 8 | 178:173 | 86 |
| კოლორადო | 71 | 38 | 27 | 6 | 194:187 | 82 |
| მინესოტა | 70 | 37 | 26 | 7 | 187:190 | 81 |
| ვანკუვერი | 69 | 35 | 24 | 10 | 185:174 | 80 |
| ნეშვილი | 71 | 35 | 28 | 8 | 206:204 | 78 |
| ფინიქსი | 70 | 35 | 30 | 5 | 185:187 | 75 |
| ედმონტონი | 70 | 34 | 31 | 5 | 195:214 | 73 |
| ჩიკაგო | 70 | 33 | 30 | 7 | 202:202 | 73 |
| კოლუმბუსი | 70 | 31 | 28 | 11 | 170:182 | 73 |
| სენტ ლუისი | 70 | 29 | 30 | 11 | 173:201 | 69 |
| ლოს ანჯელესი | 71 | 27 | 38 | 6 | 200:234 | 60 |

*კონფერენციებში პირველი სამი ადგილი დივიზიონების ლიდერებს უკავიათ. თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლის მქონე გუნდს*

**ბომბარდირები:** ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 95 (54+41); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 92 (38+54); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 84 (36+48); ჯერომ იგინლა (კალგარი) 82 (41+41); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 81 (19+62); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 80 (26+54); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 80 (26+54); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 79 (37+42); მარკ სავარი (ბოსტონი) 77 (14+63); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 77 (36+41); მატს სუნდინი (ტორონტო) 77 (32+45); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 76 (45+31); მაიკ რიბეირო (დალასი) 75 (27+48); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 75 (22+53); დენი ჰიტლი (ოტავა) 74 (35+59); რაიან გეცლაფი (ანაჰაიმი) 73 (22+51); ალექსეი კოვალიოვი (მონრეალი) 73 (30+43); ეინზ კოპიტარი (ლოს ანჯელესი) 69 (29+40); მარიან გაბორიკი (მინესოტა) 69 (34+35); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 67 (22+45); ერიკ სტაალი (კაროლინა) 67 (33+34)

**გოლეადორები:** ოვეჩკინი 54; კოვალჩუკ 45; იგინლა 41; მალკინი 38; ბრედ ბოისი (სენტ ლუისი), ალფრედსონი 37-37; ზეტერბერგი, ლეკავალიე 36-36; ჰიტლი, რიკ ნეში (კოლუმბუსი) 35-35; პატრიკ შარპი (ჩიკაგო), გაბორიკი 34-34; სტაალი 33; სუნდინი 32; ვაცლავ პროსპალი (ფილადელფია), ზაკ პარიზე (ნიუ ჯერსი), კოვალიოვი, ოლი, იოკინენი, ფლორიდა 30-30

**ასისტენტები:** სავარი 63; ტორნტონი 62; მალკინი, დაციუკი 54-54; სენ ლუი, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 53-53; სპეცა, ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 52-52; სკოტ გომესი (რეინჯერსი), გეცლაფი 51-51; ლეკავალიე, რიბეირო 48-48; ნიკლას ბექსტრომი (ვაშინგტონი) 47; კროსბი, პიერ-მარკ ბუშარი (მინესოტა), სერგეი გონჩარი (პიტსბურგი), სუნდინი 45-45

**ნაყოფიერების კოეფიციენტი:** ლიდსტრომი 38; დაციუკი 33; ჰიტლი 31; დანკან კეიტი (ჩიკაგო) 29; იგინლა 27; ზეტერბერგი 26; გეცლაფი 24; დანიელ კლირი (დეტროიტი), პარიზე, ბრენდან მოროუ (დალასი), სპეცა 23-23; მიკლას კრონველი (დეტროიტი), კენტ ჰასკინსი (ანაჰაიმი), რიბეირო, ბრაიან რაფალსკი (დეტროიტი) 22-22

### მეკარეები

**გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი:** კრის ოსგუდი (დეტროიტი) 2,07; დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,09; ჟან-სებასტიენ ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,13; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,14; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,17; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,17; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,21; მარტი ტურკო (დალასი) 2,26; ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი) 2,30; ტაი კონკლინი (პიტსბურგი) 2,35; ჟოზე ტეოდორი (კოლორადო) 2,36

**დარტყმათა მოგერიების პროცენტი:** კონკლინი 92,8; ჟიგერი 92,2; ლუონგო 92,2; ბროდო 92,2; ილია ბრიზგალოვი (ფინიქსი) 92,2; ლეკლერი 92,1; ტიმ ტომასი (ბოსტონი) 91,9; დენ ელისი (ნეშვილი) 91,9; მარტინ ბირონი (ფილადელფია) 91,8; ოსგუნდი 91,7; კერი პრაისი (მონრეალი) 91,6; კრისტობალ იუე (ვაშინგტონი) 91,6

**მოგებული მატჩები:** ნაბოკოვი 40; ბროდო 38; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 34; ლუნდკვისტი 32; ლუონგო, კემ უორდი (კაროლინა), ჟიგერი 31-31; ტურკო, რაიან მილერი (ბუფალო) 30-30; ვესა ტოსკალა (ტორონტო) 28; ბექსტრომი, მეტიუ გერონი (ედმონტონი), ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა), რიკ დიპიეტრო (აილენდერსი), ბრიზგალოვი, მარტინ გერბერი (ოტავა) 26-26

**მშრალები:** ლუნდკვისტი, ლეკლერი 9-9; ლუონგო, ნაბოკოვი 6-6; ჰაშეკი, ჟიგერი, ელისი, ვოკოუნი, მენი ლეგასი (სენტ ლუისი), ბროდო, კრის მეისონი (ნეშვილი), ოსგუდი, გერონი 4-4



ჰენრიკ ლუნდკვისტის ანგარიშზე 9 მშრალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოჩნდა

კარგა ხანია, ხალხში არ გამოჩენილა და აჰა, კალათბურთზე მოსულა ფინიქსში, „სანისა“ და „სან ანტონიო სფურზის“ თამაშზე. ხელმოტეხილი, მაგრამ გაღიმებული მუჰამედ ალი ბოლო დროს კარჩაკეტილად ცხოვრობდა.





# ჭკუამხიარული

ბრისბენში, ავსტრალია-ინდოეთის ერთდღიანი კრიკეტობისას, მოედანზე გამოხტა 26 წლის გიჟმაჟი რობერტ ოგილვი. ოგილვი თვითონ მოთამაშეებს წაუქცევიათ, მოსამართლეს კი 1500 იქაური დოლარით დაუჯარიმებია.

# იღბლიანი შარმი

მეგოლფე კრის დმარკო თვლის, რომ მისი ცოლის, ების მოხვევა და სიტყვები დიდად დაეხმარება პრო-ების ტურნირის მოგებაში. კაცია და ასე სჯერა. ვინ დაუშლის?! ჩემს ცოლს იღბლიანი შარმი აქვსო, ასე უთქვამს.




# სოჭის არაყი

ჯერ ოლიმპიადა შორსაა, მაგრამ მავან საარყე ქარხანას უკვე დაუკრავს თავისი ბოთლებისთვის ოლიმპიური სიმბოლო და 14 ათასი ბოთლი ჩამოუსხია. რუსეთში არაყი იმდენია, კაცი შიგ ჩაიხრჩობა, მაგრამ ოლიმპიური თვალს მიიზიდავსო, უფიქრიათ. ოღონდ, რად გინდა, სიმბოლოების გამოყენების ნებართვა ქარხანას არ ჰქონია და არაყიც სადამსჯელო ორგანოებს ამოუღიათ ქსელიდან. ძნელი დასაჯერებელია, ეს 14 ათასი ბოთლი რუსებს დაემტვრიათ. დამსჯელები მაინც მოილხენდნენ და, რაც დარჩა, სად არის?



# მობეზრდა

წინაა ინგლის-ახალი ზელანდიის საკრიკეტო შეხვედრა ველინგტონში და ინგილსელები მონდომებით ვარჯიშობენ. თუმცა, პოლ კოლინგულის კრიკეტი მოსაწყენია და ფეხბურთის ბურთით გაუხურებია ჯომარდობა.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge